ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 21 სექტემბერი, 2023 | №186 (9222) | ფასი: 80 თეთრი

## „პენსიები და ხელფასები გაიყინება“




გვ.4

„ამერიკული სანქციების გვერდის ავლა გამოიწვევს მძიმე სანქციებს“

# „ოცნებამ“ ქვეყანა ნაღმზე დასვა!“




გვ.2



გია ხუხაშვილი: „ბანკები რთულ მდგომარეობაში არიან. ეროვნულ ბანკს აწვება ხელისუფალი და ისინი კომერციულ ბანკებს აწვებიან“



გვ.3

იაგო ხვიჩია: „ხელისუფლების შეცვლაზე ვიფიქროთ და არა ფარცხალაძის დასანქცირებაზე“

## „ქართული ოცნება“ ძალიან დამფრთხალია!“

ლევან ალაფიშვილი: „სახეზეა სახელმწიფოს დეინსტიტუციონალიზაცია. ეს არის საფრთხის შემცველი. არ მუშაობს არცერთი დამოუკიდებელი ორგანო“



გვ.3

## „ეროვნული ბანკი პარალიზებული ორგანოა, ის ველარ შეძლებს ფუნქციონირების გაგრძელებას“



გვ.2

## გიორგი გახარია: „ქართული სახელმწიფო აღარ არსებობს...“

## მიხეილ სააკაშვილი: „ზურაბიშვილს ევროპაში თითქმის ყველა შეხვედრაზე დაუსვეს ჩემი გათავისუფლების საკითხი, ყველგან განაცხადა უარი“



გვ.2

თეა წულუკიანი: „დესტრუქციულ ოპოზიციას დარბაზში არ ჰყავდა კაცები, ჰყავდა ოთხი ნერვებაშლილი ქალი და არმაზ ახვლედიანი“



გვ.2

### ლაციომ მეკარის გოლით ქულა აიღო, მილანმა უპირატესობა ვერ გარდასახა



გვ.7



გვ.5

### ანარქისტი, რომელიც ყირიმის ხაფანგში გააბეს

2 იუსტიციის სამინისტრო: „ოთარ ფარცხალაძეს საქართველოს მოქალაქეობა შეუწყდება“

4 ზუგდიდში, ორი პირის განზრახ მკვლელობის მცდელობისთვის, ბრალდებულს 17 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა

4 შეხვედრა რამშტაინის ფორმატში

6 ფსიქიატრიული საავადმყოფოს მედდა პაციენტთან სექსის გამო სასამართლოს წინაშე წარდგება

1993230720223

# „ოცნებამ“ ქვეყანა დასვა ნაღმზე!

ნონა ცაბაძე

## გია ხუხაშვილი: „ბანკები რთულ მდგომარეობაში არიან. ეროვნულ ბანკს აწვება ხელისუფალი და ისინი კომერციულ ბანკებს აწვებიან“

„ახალი თაობის“ კითხვებს ანალიტიკოსი გია ხუხაშვილი პასუხობს.



***– ბატონო გია, თქვენთვისაც ცნობილია ეროვნული ბანკის გადაწყვეტილების შესახებ. როგორ აფასებთ ამ ყველაფერს? რამდენად სახიფათო გადაწყვეტილებაა ქვეყნისთვის?***

– ეს ნიშნავს, რომ, ფაქტობრივად, ძალაუფლება არის უზურპირებული და ხელისუფლება იცავს მხოლოდ საკუთარ ინტერესებს. პირადი ინტერესების მომსახურების რეჟიმში მუშაობს და ყველაფერს აკეთებს ამისთვის. ფაქტობრივად, ძალაუფლება არის უზურპირებული და პირდაპირ გვეუბნებიან, რომ ჩვენი კეთილდღეობა არის ყველაზე მაღალი ფასეულობა, ყველანი გაჩუმდით და ჩვენ რასაც გვინდა, იმას ვიზამთ. ახლა თურნავას განცხადებები და კონსტიტუციაზე აპელირება, თითქოს კონსტიტუცია საქართველოს მოქალაქეს უნდა იცავდეს, ეს არის ცინიზმის პიკი.

ამ მომენტში არღვევენ ყველა კონსტიტუციურ მოთხოვნას და რაც მთავარია, ქვეყნის საფინანსო სისტემას უდიდესი რისკის ქვეშ აყენებენ. ეს არის მოცემულობა. მით უმეტეს, საუბრობენ ადამიანზე, რომელსაც ჩვენივე კანონმდებლობით, საქართველოს მოქალაქეობა ავტომატურად შეწყვეტილი აქვს.

***– რა გამოდის, კონსტიტუციით აპელირებენ და იცავენ ისეთ ადამიანს, რომელიც აღარ არის ამ ქვეყნის მოქალაქე?***

– რა თქმა უნდა, აპელირებენ და ვითომ საქართველოს მოქალაქეს იცავენ, არადა, ზუსტად იციან, რომ მას ჩვენი კანონმდებლობით, შეწყვეტილი აქვს საქართველოს მოქალაქეობა. არანაირი ლეგალური საფუძველი იმისა, რომ ჩვენ ვისაუბროთ ფარცხალაძეზე, როგორც საქართველოს მოქალაქეზე, არ არსებობს!

***– რამდენიმე საათში შეცვლილი გადაწყვეტილება, ჯერ დაემორჩილნენ სახელმწიფო დეპარტამენტს და შემდეგ ღამით ცვლილება შეიტანეს კანონში. რამ განაპირობა გადაწყვეტილების ასეთი უეცარი ცვლილება? ეს ხომ არ არის სერიოზული შანტაჟის შედეგი?***

– ცხადია, სერიოზული ზეწოლა იყო კულისებში, ხელისუფლების შიგნით. ე.წ. „რაზბორკები“, სწორედ რუსული სიტყვა უხდებათ. ფაქტია, იყო ზეწოლა და ეროვნულ ბანკს შეაცვლევინეს გადაწყვეტილება. ეროვნული ბანკის მმართველობაში ისეთი ხალხია, ხელისუფალმა რომ უთხრას, ყურებზე გაიარეო, უნდა გაიარონ. ეს ადამიანები ანგარიშვალდებულები ხალხთან კი არ არიან, ანგარიშვალდებულები არიან ფარცხალაძესთან. ამიტომ სრული მორალური უფლება აქვს ფარცხალაძეს, აი, ასე ურჩიოს საქმეები.

***– ბატონო გია, ნათია თურნავა აცხადებს, რომ კომერციული ბანკები ვალდებულნი არიან, დაემორჩილონ ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებასო. რამდენად სახიფათო სიტუაცია იქმნება? დგება თუ არა სერიოზული რისკის ქვეშ საბანკო სისტემა?***

– ძალიან სახიფათო სიტუაციაა, მაგრამ ხომ ხედავთ, უკვე ყველაფერზე მიდიან?!

***– კომერციულმა ბანკებმა განაცხადეს, რომ ისინი კვლავ საერთაშორისო სანქციებს ემორჩილებიან და რა მოხდა, ეროვნულმა ბანკმა თითი დაუქნია მათ?***

– ბანკებიც რთულ მდგომარეობაში არიან. ეროვნულ ბანკს აწვება ხელისუფალი და ისინი მერე, თავის კომპეტენციის ფარგლებში, აწვებიან კომერციულ ბანკებს. ასე მუშაობს მანკიერი სისტემა, აბა, სხვანაირად როგორ?! ვნახოთ, ახლა როგორ განვითარდება მოვლენები. ფაქტია, რომ ქვეყანა დასვეს ნაღმზე, პირადი ინტერესის გამო! აქ მარტო ფარცხალაძეზე არ არის ლაპარაკი. ხელისუფლება კონკრეტულ ფარცხალაძეს კი არ ეფარება, მას სხვა რამის ეშინია.

***– თავადაც ელოდება სანქციებს?***

– არა, მარტო თავად არა, სხვებისაც ეშინია. ის, ვინც მის ორბიტაზეა და მის დავალებებს ასრულებს, ყველას ფული აქვს ანგარიშებზე და თავის ფულს უფრთხილდებიან. ისინი ეკითხებიან, შენ დაგვიცავ? სწორედ ეს პროცესი მიდის ახლა. ამიტომ ხელისუფალმა ახლა თუ იმის იმიტაცია მაინც არ მოახდინა, რომ დაიცავს, მას საკუთარი გარემოცვა შეუქმნის საფრთხეს. ამიტომ დღეს ის იძულებულია, ამ წარმოუდგენელი გზით იმოქმედოს.

***– თავად შიგნითვე აქვთ პანიკა და რამდენად ბევრ შეცდომას დააშვებინებს „ოცნებას“ ეს პანიკა?***

– რა თქმა უნდა, პანიკა აქვთ. ეს შეცდომები აღარ არის, ეს უკვე დანაშაულია. მე ვფიქრობ, რომ დღეს ხელისუფალი არის იმ მდგომარეობაში, როდესაც ყველა შემდგომი სვლა უცილობლად მარცხით უნდა დამთავრდეს.

***– წაგებულ თამაშში შევიდა „ქართული ოცნება“?***

– დიახ, სწორედ რომ ასეა. რა ნაბიჯიც არ უნდა გადადგან, რაც არ უნდა მოიმოქმედონ ახლა, მაინც აგებენ...

***– არ დადგა დრო საზოგადოების გამოღვიძების? სერიოზული პროტესტის გარდა, სხვა რა უშველის ამ საქმეს?***

– გამოღვიძების დრო დიდი ხანია დამდგარია. დაველოდოთ მოვლენების განვითარებას.

## მიხეილ სააკაშვილი: „ზურაბიშვილს ევროპაში თითქმის ყველა შეხვედრაზე დაუსვეს ჩემი გათავისუფლების საკითხი, ყველგან განაცხადა უარი“



მიხეილ სააკაშვილი ოპოზიციას გაერთიანებისკენ, ბიძინა ივანიშვილს კი ხელისუფლების გადაბარების თაობაზე მოლაპარაკებების დაწყებისკენ მოუწოდებს, – განცხადება მესამე პრეზიდენტმა სასამართლო პროცესზე გააკეთა.

მესამე პრეზიდენტი გამოეხმაურა ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს და ყოველდღიური პროტესტის მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება:

– როდესაც მე შევწყვიტე პრეზიდენტობა და მშვიდობიანად გადავეცი ხელისუფლება, მაშინ დაინიშნა გენერალურ პროკურორად არჩილ კბილაშვილი, კვალიფიციური იურისტი რომელსაც დაავალეს, რომ ჩემ წინააღმდეგ აღეძრა საქმეები, მას ჩამოუყვანა მაშინდელმა იუსტიციის მინისტრმა წულუკიანმა მრავალი უცხოელი ექსპერტი.

ექსპერტები ეძებდნენ რამე ხელჩასაჭიდს ჩემ წინააღმდეგ და როცა ვერაფერი იპოვეს, ხელცარიელი მივიდნენ თავის უფროსთან და უთხრეს, რომ სააკაშვილის წინააღმდეგ საქმის წარმოებაა შეუძლებელი. და შემდეგ ჩნდება ფარცხალაძე, კბილაშვილს უშვებენ და ფარცხალაძე აღძრავს სისხლის სამართლის საქმეებს. დღეს ირკვევა, რომ ფარცხალაძე უკვე მაშინ იყო „ეფ-ეს-ბეს“ აგენტი.

სალომე ზურაბიშვილი ახლა იყო ევროპაში. ყველა შეხვედრაზე, კითხეთ თუ ასე არ არის, თითქმის ყველა შეხვედრაზე დაუსვეს მას საკითხი ჩემი გათავისუფლების, რათა სრულფასოვნად მივილო მონაწილეობა თქვენთან ერთად საქართველოს თავისუფლებისთვის ბრძოლაში. სალომე ზურაბიშვილმა ყველგან განაცხადა უარი. საქართველო გაიმარჯვებს, გამარჯვება არის ძალიან ახლოს, ისევე, როგორც უკრაინის გამარჯვებაა ძალიან ახლოს, მაგრამ ყოველდღიური პროტესტით. საერთაშორისო დამკვირვებლებმა უნდა ჩაატარონ ახალი, თავისუფალი არჩევნები, რომელიც საქართველოს სწრაფად გამოიყვანს ამ საფრთხის ზონიდან და გაიყვანს სამშვიდობოზე, – თქვა მიხეილ სააკაშვილმა.

## თეა წულუკიანი: „დესტრუქციულ ოპოზიციას დარბაზში არ ჰყავდა კაცები, ჰყავდა ოთხი ნერვებაშლილი ქალი და არმაზ ახვლედიანი“



– ამდენი წელია მინისტრი ვარ და ოპოზიციის ნაწილში ასეთი უინტერესო „მინისტრის საათი“ არ მქონია – ეს ნიშნავს, რომ მათ აქვთ კრიზისი, – ეს განცხადება პარლამენტში, „მინისტრის საათის“ ფორმატის დასკვნით ნაწილში კულტურისა და სპორტის მინისტრმა თეა წულუკიანმა გააკეთა.

წულუკიანმა ოპოზიციის მისამართით აღნიშნა ისიც, რომ „ოპოზიციური პარტიები ლუზერობითა და უზრდელობით ვერსად გაფრინდებიან“.

– სხდომათა დარბაზში დესტრუქციული ოპოზიციისგან შემდეგი სურათი ვიხილეთ – დესტრუქციულ ოპოზიციას დარბაზში არ ყავდა კაცები, ჰყავდა ოთხი ნერვებაშლილი ქალი და არმაზ ახვლედიანი. ეს არის მათი დიაგნოზი! მათ ომს ვერ მიაღწიეს. ახლა, როგორც ჩანს, ძალიან სახიფათო ფაზაში შევდივართ – როდესაც დესტრუქციული ოპოზიცია, რომელიც ხალხმა აირჩია, უარს ამბობს დარბაზში იჯდეს და სტრატეგიად იმ უზრდელობას ირჩევს, რომელიც ჩვენ აქ ქალების მხრიდან ვნახეთ, ირჩევს ჩხუბს, მუშტი-კრივს, მუქარასა და სხვა ამგვარ ქცევას, ეს იმას ნიშნავს, რომ რაკი ომს ვერ მიაღწიეს, ცდილობენ, რომ ქვეყანაში პროვოკაციები და დესტაბილიზაცია მოაწყონ.

რა თქმა უნდა, ჩვენ, აღმასრულებელი ხელისუფლების ნაწილში შევეცდებით, რომ მოწოდების სიმაღლეზე ვიყოთ – დაწყებული სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურით, ყველა იმ სამართალდამცველით გაგრძელებული, ვისაც სახელმწიფოში სტაბილურობის უზრუნველყოფა ევალებათ. ჩვენი სამინისტრო თავისი უფლებამოსილების ფარგლებში თავის წვლილს შეიტანს, – განაცხადა თეა წულუკიანმა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე.

## რატი ბრეგაძე: „საქართველოში აღარასდროს დაბრუნდება სამოქალაქო დაპირისპირების დრო“

– პოლიტიკურ ორიენტაციაარეულ ოროსან დეპუტატებს უნდა ახსოვდეთ, რომ საქართველოში აღარასდროს დაბრუნდება სამოქალაქო დაპირისპირების დრო, – ამის შესახებ საქართველოს იუსტიციის მინისტრი რატი ბრეგაძე სოციალურ ქსელში წერს.

მისი თქმით, „დამნაშავეები კანონის წინაშე პასუხს აგებენ“.

– „პოლიტიკოსის“ მიერ იარაღის შესაძლო გამოყენების პირდაპირი თუ ირიბი მუქარა უდიდესი მავნებლობაა საკუთარი ხალხის წინააღმდეგ!

„ერთიანი ბოლშევიკური მოძრაობა“ რომ პოლიტიკური ჯართის დაჟანგებული საწყობია, დღეს კიდევ ერთხელ დაადასტურეს 21-ე საუკუნის პავლიკ მოროზოვებმა. პოლიტიკურ ორიენტაციაარეულ ოროსან დეპუტატებს უნდა ახსოვდეთ, რომ საქართველოში აღარასდროს დაბრუნდება სამოქალაქო დაპირისპირების დრო და დამნაშავეები კანონის წინაშე აგებენ პასუხს, – წერს ბრეგაძე „ფეისბუქზე“.

## გიორგი გახარია: „ქართული სახელმწიფო აღარ არსებობს...“



„ქართული სახელმწიფო აღარ არსებობს. ის ემსახურება ოლიგარქ ივანიშვილისა და მისი თანამზრახველების ინტერესებს“, – ამის შესახებ პარტია „საქართველოსთვის“ ლიდერი გიორგი გახარია სოციალურ ქსელში წერს:

– მიმდინარეობს სახელმწიფო ინსტიტუტების კოლაფსი: ივანიშვილმა ეროვნულ ბანკს უბრძანა, დაემორჩილებინა აშშ-ის სანქციები ყოფილი მთავარი პროკურორის წინააღმდეგ, რომელიც გახდა FSB-ს აგენტი. პარლამენტი მმართველი პარტიისა და ნაციონალური მოძრაობის კრივის რინგად იქცა; პროდასავლური პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი იმპიჩმენტის მოლოდინშია. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია 2024 წლის არჩევნების წინ მმართველი პარტიის სრული კონტროლის ქვეშაა. ქართული სახელმწიფო აღარ არსებობს. ის ემსახურება ოლიგარქ ივანიშვილისა და მისი თანამზრახველების ინტერესებს, – წერს გახარია.

## იუსტიციის სამინისტრო: „ოთარ ფარცხალაძეს საქართველოს მოქალაქეობა შეუწყდება“

„საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, ვავრცელებთ ინფორმაციას, რომ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ მიზანშეწონილად მიიჩნია ოთარ ფარცხალაძისთვის საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტა. შესაბამისი დასკვნა გადაგზავნილია საქართველოს პრეზიდენტთან“, – ნათქვამია იუსტიციის სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ISSN 1987-9385
9 771987 938006

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მურაზ ლეკვეიშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ-ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ქართული ოცნება“ ძალიან დამფრთხალია!

## იაგო ხვიჩია: „ხელისუფლების შეცვლაზე ვიფიქროთ და არა ფარცხალაძის დასანქცირებაზე“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს „გირჩის“ ლიდერი იაგო ხვიჩია პასუხობს.

***– ბატონო იაგო, საკმაოდ ხმაურიანი იყო გუშინდელი საპარლამენტო სესია. ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებამ ყველას სერიოზული პროტესტი გაუჩინა. რამდენად სერიოზული საფრთხის წინაშე აყენებენ ქვეყანას?***

– ნათია თურნავამ ეს გადაწყვეტილება მიიღო იმიტომ, რომ „ქართულმა ოცნებამ“ უბრძანა ასე. შესაბამისად, ეროვნული ბანკი არანაირი დამოუკიდებელი ორგანო არ არის. ის არის ჩვეულებრივი დეპარტამენტი „ქართული ოცნების“. შესაბამისად, მიიღო ის გადაწყვეტილება, რაც „ქართულ ოცნებას“ უნდოდა.

***– თავად ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობას შორისაც არ იყო ერთსულოვნება? ეროვნული ბანკის ორმა ვიცე-პრეზიდენტმა უკვე დატოვა თანამდებობა.***

– ვისაც „ქართული ოცნების“ მიღმა რაღაც პერსპექტივა აქვს, ყველა ხვდება, რომ საფლავში ჩაყოლა არ შეიძლება „ქართული ოცნებისა“ და ფარცხალაძისთვის. შესაბამისად, ადეკვატურად იქცევიან, რადგან ფარცხალაძის საქმე პირველი შემთხვევა არ იქნება. როგორც ჩანს, სხვა ადამიანების სანქცირებაც გაგრძელდება. ეროვნულმა ბანკმა ამიტომ გადაიზღვია თავი ასე, რომ მურუსიძის სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე, სანქციები არ შეეხოს არავის. ვიღაცეებს არ უნდათ ამ სიბინძურეში გასვრა და არ უნდათ გზა მოიჭრან ამერიკელებთან საურთიერთობოდ.

***– ბატონო იაგო, კომერციული ბანკები არ ცვლიან გადაწყვეტილებას და კვლავაც უერთდებიან სანქციებს, მიუხედავად ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებისა. თუმცა, თურნავა აცხადებს, რომ ბანკები ვალდებულები არიან, ჩვენ გადაწყვეტილებას დაემორჩილონო. რამდენად გართულდება სიტუაცია?***

– მე არ მაქვს ინფორმაცია, თუ რას აპირებს ეროვნული ბანკი კომერციულ ბანკებთან დაკავშირებით, ან მათ რა რისკები ემუქრებათ. თავისთავად ცხადია, ეს პროცესი ასე არ მორჩება და წინ კიდევ ბევრი განსაცდელი ელოდება „ქართულ ოცნებას“. სწორედ ამიტომ დაიცვეს მათ ფარცხალაძე, რადგან მომავალში თვითონ დასჭირდებათ იგივე და რალაცნაირად ერთმანეთს ამხნევებენ. დღეს მათ გამომეტყველებაში კარგად ჩანდა, რომ ამხნევებენ ერთმანეთს და თვალებით ეუბნებიან, ყველაფერი კარგად არის. „კარგად“ რომ არ არის, ყველა ვხედავთ, „ქართული ოცნება“ ჩამოშლის პირასაა თავისი პოლიტიკით.

***– როდესაც აცხადებენ, რომ არანაირი შეხება ფარცხალაძესთან არ აქვთ, ის 10 წელია ხელისუფლებას არ გაკარებიაო და ამ დროს ასეთი თავგამოდებით იცავენ, ეს არის შანტაჟის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება, თუ საკუთარ თავს იზღვევენ, როგორც თქვენ ბრძანეთ?***

– საკუთარ თავს იზღვევენ და ამისთვის გამოიყენებენ ყველაფერს, შანტაჟის ჩათვლით!

***– ოპოზიციის ერთი ნაწილი პარლამენტთან აქციას მართავს. „გირჩი“ თუ უერთდება ამ აქციას? რა გეგმები გაქვთ, რას აპირებთ? როგორც რუსული კანონის დროს მოხდა, საზოგადოების დიდი პროტესტი ხომ არ შეაცვლევინებს გადაწყვეტილებას ხელისუფლებას?***



**„ჩვენზე ეს ემოციური ყვირილი არ მოქმედებს, ჩვენ გვჭირდება რაციონალური ლაპარაკი, როგორ წარმოუდგენიათ ჩვენს კოლეგებს, რა იქნება ქოცების მერე?“**

– მე არ მგონია, რომ მიზანი იყოს გადაწყვეტილების შეცვლევინება „ქართული ოცნებისთვის“ და ის, რომ ფარცხალაძეს ანგარიში დაუბლოკონ ისევ. ფარცხალაძეს ეს ფული უკვე გატანილი ექნება. გადარიცხულიც და გადმორიცხულიც. ჩვენი ამოცანა საბოლოო ჯამში არის ის, რომ ხალხს დავანახოთ, საით მიდის ეს ქვეყანა. ხელისუფლების შეცვლაზე ვიფიქროთ და არა ფარცხალაძის დასანქცირებაზე.

***– ასეთ დროს მსგავსი გადაწყვეტილებები, როდესაც სადაცაა უნდა გამოქვეყნდეს ევროკავშირის ანგარიში, მივიღებთ თუ არა კანდიდატის სტატუსს, მსგავსი გადაწყვეტილებებით პირდაპირ ხომ არ ეუბნებიან, რომ არ გვინდა ევროკავშირში?***

– ეს ერთადერთი გადაწყვეტილება არ არის ევროპული გზის საწინააღმდეგოდ, თავის შინაარსით ბევრი ასეთი ქმედება აქვს „ქართულ ოცნებას“ დაგროვილი, რითაც თავის პარტნიორებს ეუბნება, რომ მათი აზრი ნაკლებად მნიშვნელოვანია. ახლა პარტნიორების ჯერი დადგა და შესაბამისად, ჩვენ ამ პროცესებს ვუყურებთ.

***– კობახიძის განცხადებაზე რას იტყვით? ვილაცამ სახელმწიფო დეპარტამენტის სახით ლუკმა გადაუგდო ოპოზიციასო.***

– ჩემი აზრით, „ქართული ოცნება“ ძალიან დამფრთხალია ამ გადაწყვეტილებით და ცდილობენ, როგორმე საკუთარი გუნდი გაამხნეონ და ერთმანეთი ალაგზნონ იმით, რომ ყველაფერი კარგად არის. მაშინ, როდესაც ყველას მშვენივრად ესმის, ჩამოქცევის პირასაა საქართველოს ხელისუფლება.

***– მომწიფდა ხელისუფლების ცვლილების ეტაპი? დადგა ეს დრო?***

– ეს დრო დიდი ხანია დამდგარია, უბრალოდ, სათანადო მზაობას ოპოზიცია არ ამჟღავნებს. სწორედ ამიტომ გაჭიანურდა ეს პროცესი.

***– ახლა მაინც თუ იქნება ოპოზიციაში ერთიანობა?***

– ერთიანობა ასე არ ხდება. ერთიანობას სჭირდება ის, რომ დაჯდეს ხალხი და დაილაპარაკოს, ვის რა უნდა. სანამ ეს პროცესი არ დაიწყება, მანამდე ვერანაირი ერთიანობა ვერ იქნება ლიდერ-ბელადების გარშემო. არა გვყავს ახლა ჩვენ ისეთი ბელადი, რომ სიამოვნებით გაერთიანდეს მის ირგვლივ ხალხი.

***– მოვისმინეთ შეფასებები, რომ ისევ ნაციონალური მოძრაობა ცდილობს, ინიციატივის ხელში აღებას. ეს ხომ არ დააფრთხობს დანარჩენ ოპოზიციას და ხომ არ დააზიანებს პროცესს?***

– ჩემი აზრით, ნაცმოძრაობას ეს არ გამოუვა. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ეცდება, მაქსიმუმ კიდევ ერთხელ დაშალოს აქცია. ალბათ, თვითონვე მიხვდებიან, რომ ასე თამაში მათთვის წამგებიანია.

***– არ უერთდებით აქციას პარლამენტის წინ?***

– არა. ჩვენ ჩვენი საქმე გვაქვს. უნდა დაველაპარაკოთ ხალხს, რომ დაბრუნდებიან მიტინგიდან, ამის მერე, თუ რას აპირებენ ზოგადად და რა უნდათ?! ჩვენზე ეს ემოციური ყვირილი არ მოქმედებს, ჩვენ გვჭირდება რაციონალური ლაპარაკი, როგორ წარმოუდგენიათ ჩვენს კოლეგებს, რა იქნება ქოცების მერე? აი, სწორედ ამაზე სასაუბროდ ვეპატიჟებით კოლეგებს და მე ეს მგონია, ხალხისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი!

# საქართველოდან თურქეთის რესპუბლიკაში არასრულწლოვნის თავისუფლების უკანონო აღკვეთისთვის ძებნილი პირის ექსტრადიცია განხორციელდა

საქართველოდან თურქეთის რესპუბლიკაში არასრულწლოვნის თავისუფლების უკანონო აღკვეთისთვის ინტერპოლის წითელი ცირკულარით ძებნილი პირის ექსტრადიცია განხორციელდა. ინფორმაციას საქართველოს პროკურატურა ავრცელებს.

უწყების ცნობით, აღნიშნული პირი, სექსუალური ძალადობის მიზნით, 16 წელს მიუღწეველი პირის თავისუფლების უკანონო აღკვეთისთვის, თურქეთის რესპუბლიკის კომპეტენტური ორგანოების მიერ 2009 წლიდან იძებნებოდა.

– თურქული მხარის მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ დანაშაულებრივი ქმედებების შედეგად, ზიანი მიადგა დაზარალებული არასრულწლოვნის ფსიქიკურ ჯანმრთელობას.

ძებნილი პირი თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციის მიზნით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა 2022 წლის 20 დეკემბერს დააკავეს.

საქართველოს გენერალური პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე, 2023 წლის 16 მარტს, აღნიშნული პირის თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიცია სასამართლომ დასაშვებად ცნო. მიმდინარე წლის 11 აპრილს საქართველოს უზენაესმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა დაცვის მხარის საკასაციო საჩივარი და პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ექსტრადიციის დასაშვებად ცნობის თაობაზე დარჩა უცვლელად.

2023 წლის 13 სექტემბერს საქართველოს იუსტიციის მინისტრმა მიიღო საბოლოო გადაწყვეტილება ზემოხსენებული პირის თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციის თაობაზე, რის შემდგომაც, 15 სექტემბერს ძებნილი პირი სპეციალური პენიტენციური სამსახურის თანამშრომლების მიერ თურქეთის რესპუბლიკის კომპეტენტური ორგანოების წარმომადგენლებს გადაეცა.

საქართველოს პროკურატურა გამოხატავს მზადყოფნას, ძებნილი პირების მართლმსაჯულების წინაშე წარდგენის მიზნით, მომავალშიც წარმატებით ითანამშრომლოს პარტნიორი ქვეყნების კომპეტენტურ ორგანოებთან, – აღნიშნულია პროკურატურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

# „ეროვნული ბანკი პარალიზებული ორგანოა, ის ველარ შეძლებს ფუნქციონირების გაგრძელებას“

ნათია ხურცილავა

## ლევან ალაფიშვილი: „სახეზეა სახელმწიფოს დეინსტიტუციონალიზაცია. ეს არის საფრთხის შემცველი. არ მუშაობს არცერთი დამოუკიდებელი ორგანო“

**კონსტიტუციონალისტი ლევან ალაფიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ბატონო ლევან, პრეზიდენტმა ზურაბიშვილმა საგანგებო ბრიფინგზე განაცხადა, რომ ეროვნული ბანკის ერთპიროვნული გადაწყვეტილება ბათილად უნდა გამოცხადდეს და ნათია თურნავა, რომელიც მან წარდგინა, უნდა გადადგეს. როგორ შეიძლება მოვლენები განვითარდეს?***

– ძალიან საინტერესო პროცესს ვადევნებთ თვალ-ყურს. თუ ეროვნულ ბანკში მოვლენები ასე გაგრძელდება და საბჭოს 9 წევრიდან 5 გადადგება, თან ეროვნულ ბანკს არ ჰყავს თავმჯდომარე, ნათია თურნავა მხოლოდ მოვალეობის შემსრულებლია, მივიღებთ ვითარებას, როდესაც ეროვნული ბანკი იქნება პარალიზებული ორგანო. ის ველარ შეძლებს ფუნქციონირების გაგრძელებას. ეს ძალიან მკვეთრად აისახება ქვეყნის ფინანსურსა და ეკონომიკურ მდგომარეობაზე. ეს იქნება სისტემის კოლაფსი.

წარმოუდგენელია, ქვეყანამ ნორმალური, ადეკვატური ფუნქციონირება გააგრძელოს, გაუმართავი ფინანსური და ეკონომიკური სისტემის ფონზე. შეუძლებელია, ამას ვერ აცნობიერებდნენ. ეს პირდაპირ იქნება კონსტიტუციური ორგანოს ჩამოშლა.



რაც შეეხება პოლიტიკურ პროცესს, რაც ვერ შეძლო ოპოზიციამ, ის შეძლო ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ერთმა განცხადებამ. გასაგებია, რომ სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადება, რომელიც ქვეყნის ყოფილ გენერალურ პროკურორს ეხება და ამხელს ოკუპანტი ქვეყნის ჯაშუშობაში, არ არის რიგითი განცხადება, მაგრამ ვიმეორებ, რაც ვერ შეძლო ოპოზიციამ, ის შეძლო ამ განცხადებამ.

პირველ რიგში, გაირკვა, რომ ქვეყანას არ ჰყავს ან საერთოდ მოშლილია კონტრდაზვერვის სამსახური. სხვა ქვეყანამ, მართალია სტრატეგიულმა პარტნიორმა ქვეყანამ, მაგრამ მაინც უცხო ქვეყანამ, გვითხრა ის, რაც ჩვენს სახელმწიფო სამსახურს უნდა სცოდნოდა და რომელზეც უნდა მოეხდინა დაუყოვნებლივ რეაგირება.

მეორე, გამოჩნდა, რომ დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი სახელმწიფო ორგანოები ემსახურებიან არა ქვეყნის ინტერესებს, არამედ კონკრეტული, კერძო პირის ინტერესებს. ეს გამოავლინა სრულიად ღიად ნათია თურნავამ, ცხადია, „ქართული ოცნების“ დავალებით.

სახეზეა სახელმწიფოს დეინსტიტუციონალიზაცია. ეს არის საფრთხის შემცველი. არ მუშაობს არცერთი დამოუკიდებელი ორგანო. გამოდის ყველა ნეიტრალური, დამოუკიდებელი უწყება ემსახურება ერთი პარტიის ან ერთი პირის ინტერესებს. თუ ქვეყანაში არ არსებობს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სპეცსამსახურები და ის ჩამოშლილია, სასამართლო სისტემა, ეროვნული ბანკი, ფინანსურ ორგანო, მაშინ რა გამოდის?! როგორ სახელმწიფოში ვცხოვრობთ?! ეს სერიოზული პრობლემაა. თუ ასე გაგრძელდება, მაშინ საზოგადოება უნდა გახდეს პროცესების წარმმართველი. საზოგადოებამ უნდა აიღოს პასუხისმგებლობა, რომ ასე აღარ გაგრძელდეს.

***– თქვენ თქვით, რომ სპეცსამსახური ჩამოშლილია. ცოტა ხნის წინ განაცხადეს, რომ ქვეყანაში სახელმწიფო გადატრიალება იგეგმება.***

– კი, უცებ დავიჯერეთ ამ განცხადების. უკვე მეხუთე სერიაა. დიახ, ნამდვილად ჩამოშლილია და ამის მკაფიო მაგალითი მიხეილ სააკაშვილის ქვეყანაში შემოსვლაა. სამი დღე ქვეყანაში იყო კაცი, წინ და უკან დადიოდა, ბათუმში ჩავიდა, ფოტოები გადაიღო და არავინ არაფერი იცოდა. ჩამოშლილია, აბა, რა არის?!

ჭიკაიძის საბურავების რევოლუცია არავის დაავიწყდა, ოპოზიცია რომ საბურავებს აგროვებდა რევოლუციის მოსახდენად. სუსის ეს განცხადებაც ამ სერიიდანაა. სპეცსამსახურები ასე არ მუშაობენ. საჯარო და პოლიტიკურ განცხადებებს კი არ აკეთებენ, მოქმედებენ და მერე აკეთებენ განცხადებას. თუნდაც პრევენციულს. ამიტომ არავის სჯერა ასეთი განცხადებების.

***– ოპოზიციამ საპროტესტო აქციები დააანონსა. ეს შეიძლება ცხელ გულზე, ერთჯერადი გამოსვლა იყოს?***

– ვერ გეტყვით, როგორ გაგრძელდება მოვლენები და ეს ბევრ რამეზე იქნება დამოკიდებული, მაგრამ ერთი შემიძლია გითხრათ, მმართველმა პარტიამ „აგენტების შესახებ“ კანონპროექტი ვერ გაიტანა სწორედ ხალხის პროტესტის გამო. ახლა, როგორც ჩანს, ჭკუა ისწავლა. ნათია თურნავას ჯერ გადაწყვეტილება მიაღებინეს და შემდეგ, რამდენიმე საათის შემდეგ, გახდა ეს ყველაფერი ცნობილი, რომ ხალხის რეაგირება მყისიერი არ ყოფილიყო.

# „პენსიები და ხელფასები გაიყინება“

## „ამერიკული სანქციების გვერდის ავლა გამოიწვევს მძიმე სანქციებს“

მარიამ მჭედლიშვილი




საქართველოს ყოფილი პროკურორის, ოთარ ფარცხალაძის დასანქცირება და აშშ-ის მიერ მისი მხილება რუსულ „ფსბ“-სთან კავშირში რომ საქართველოში ჯაჭვურ რეაქციებს გამოიწვევდა და ბევრ რამეს ამოაყირავებდა, თავიდანვე ცხადი იყო. ოთარ ფარცხალაძე არ არის ერთადერთი ქართველი (რომელსაც რატომღაც რუსეთის მოქალაქეობაც აქვს და საქართველოს მოქალაქეობაც შეუნარჩუნდა), რომელიც შეკრულია რუსეთთან. სხვა პირები (მათ შორის, სხვადასხვა ორიენტაციის პოლიტიკოსებიც არიან) ჯერ სერიოზულ დონეზე არავის უმხელია.

სხვების მხილების პროცესი, ასევე ფარცხალაძის საქმის გამოძიება არ დაწყებულა, მიუხედავად ამისა, ქვეყანაში ვითარება მაინც უკიდურესად დაიძაბა. თანაც, იმ ფონზე, როცა საქართველო მოელის პასუხს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის თაობაზე. ევროკომისიის შეფასება ოქტომბერში უნდა იყოს, ევროპული საბჭოს საბოლოო პასუხი კი – დეკემბერში.

### სანქციების მიღება და უკან წაღება

დაძაბული სიტუაცია დამუხტა ფარცხალაძის მიმართ საქართველოში მიღებულმა და შემდეგ უკან წაღებულმა ზომებმა. კერძოდ, ეროვნულმა ბანკმა აშშ-ის მიერ სანქცირებულ ფარცხალაძეს მის საკუთრებაში არსებულ საბანკო ანგარიშებზე წვდომა ჯერ შეუზღუდა, შემდეგ კი აღუდგინა. აღდგენამდე საქართველოს ეროვნული ბანკი გააკრიტიკა „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ. მისი შეფასებით, ეროვნულმა ბანკმა ანტიკონსტიტუციური გადაწყვეტილება მიიღო, როცა ფარცხალაძეს შეზღუდვები დაუწესა.

– ის სანქციები, რომელიც დაწესდა, არის სისხლისსამართლებრივი. ასეთ დროს მოქალაქეს იცავს უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპი. ეს ვრცელდება ოთარ ფარცხალაძეზე, როგორც საქართველოს მოქალაქეზე. ეროვნული ბანკის გადაწყვეტილება პირდაპირ ეწინააღმდეგება კონსტიტუციას და მის ერთ-ერთ ფუძემდებლურ პრინციპს – უდანაშაულობის პრეზუმფციას, – განაცხადა კობახიძემ.

ამის შემდეგ ეროვნულმა ბანკმა სანქცირებული ფარცხალაძის მიმართ შემოღებული შეზღუდვა უკან წაიღო.

ეროვნული ბანკის ბოლო გადაწყვეტილებამ საზოგადოებაში მწვავე რეაქცია გამოიწვია. ბევრმა დაიწყო საუბარი კატასტროფულ მოვლენებზე, რომელიც ამას მოჰყვება.

– ამერიკული სანქციების გვერდის ავლა ქვეყნის საბანკო სისტემის მიერ იწვევს გარდაუვალ და უფრო მძიმე სანქციებს, რომლებიც მთლიანად საბანკო სისტემას, ბიზნესსა და რიგით მოქალაქეებს შეეხება, – ასე გამოეხმაურა მოვლენას ნინო ლომჯარია, რომელიც ამჟამად საზოგადოებრივი პლატფორმა „საქართველოს ეროვნული ორბიტის“ ერთ-ერთი დამფუძნებელია.

ნინო ლომჯარია ხელისუფლებას ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მიღების შანსის დაკარგვის გამოც აკრიტიკებს და ქვეყნის იზოლაციასაც არ გამორიცხავს:

– ის, რომ ევროკავშირის სტატუსი ცხვირწინ გამოგვაცალეს არ ეყოთ და ახლა იზოლირებულ და დასანქცირებულ ქვეყნად უნდათ რომ გვაქციონ, – აღნიშნა ლომჯარიამ.

ეროვნული ბანკის პირველი გადაწყვეტილება სწორად მიიჩნია დეპუტატმა რომან გოცირიძემ. მან აღნიშნა:

– ეროვნულ ბანკს ფარცხალაძის ანგარიშები რომ არ გაეყინა, მოხდებოდა საქართველოს საბანკო სისტემის და შესაბამისად, მთელი ეკონომიკის კოლაფსი, – აღნიშნა ეროვნული ბანკის ყოფილმა პრეზიდენტმა რომან გოცირიძემ.

ეროვნულმა ბანკმა თავისი მეორე გადაწყვეტოლებით „მთელი ეკონიმიკის კოლაფსის“ საშიშროება შექმნა. საკითხს შეეხო აშშ-ში მცხოვრები ყოფილი ჩინოსანი გია ხუროშვილი.

– ხვალ პენსიები და ხელფასები რომ გაიყინება, მერე იძახეთ „ბიძინა“! სასწრაფოდ გადაკეტეთ ყველა არხი. ესენი ლარს ქაღალდად გადააქცევენ და უცხოური ვალუტა აღარ დარჩება ბანკებში, ისე გაზიდავენ. დასასრულს როცა გრძნობენ, ეს აგონია მაშინ ხდება, – აღნიშნა ხუროშვილმა.

ოპოზიციური პარტიების ნაწილმა ეროვნული ბანკის ბოლო გადაწყვეტილება გააპროტესტა და ხელისუფლების წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლა დააანონსა.

### „ოცნებამ“ თუ ასე გააგრძელა, მაშინ ყველანი ქუჩაში უნდა გამოვიდეთ“

ოპოზიციონერები ფარცხალაძის თემას მხოლოდ ეროვნული ბანკის კონტექსტში არ ეხებიან.

– ფარცხალაძე მთავარი კაცია საქართველოსა და რუსეთს შორის. ჩვენ, მგონი, ფორმალურად გვქვია საქართველო. ქვეყანა „ფსბ“-ს გაგრძელებაა. რუსებმა მკაფიოდ გვითხრეს, რომ ეს (ფარცხალაძე) არის ის კაცი, რომელიც ვიზების გაუქმებასა და ფრენების აღდგენაში გვეხმარებოდაო. ამის გაგრძელება უნდა იყოს, რომ „ქართული ოცნება“ წავიდეს ხელისუფლებიდან, – განაცხადა პარტია „მოქალაქეების“ ლიდერმა ალეკო ელისაშვილმა.

ელისაშვილი ეხება მოსამართლე მურუსიძეს. მას და კიდევ სამ მოსამართლეს გაზაფხულზე აშშ-მ ამერიკაში შესვლა შეუზღუდა.

– მურუსიძით გაგვაფრთხილეს. ესენი არ გაჩერდნენ. „ქართულმა ოცნებამ“ თუ ასე გააგრძელა, მაშინ ქუჩაში უნდა გამოვიდეთ და ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ საქართველოს ცივილიზებული არჩევანი დავიცვათ, – თქვა ელისაშვილმა.

– ფარცხალაძის საქმე გაცილებით დიდია, ვიდრე ერთი კონკრეტული პირის საქმე. ამან ამხილა მთელი დანაშაულებრივი ჯაშუშური სისტემა, რომელიც საქართველოშია ჩამოყალიბებული, – აღნიშნავს „სტატეგია აღმაშენებლის“ თავმჯდომარე გიორგი ვაშაძე.

### პროკურატურა ფარცხალაძესთან რაიმე კონტაქტს უარყოფს

ფარცხალაძის თემამ პროკურატურაც აალელვა. პროკურატურას ხშირად ახსენებენ ოპოზიციონერები. პოლიტიკოსები საუბრობენ ფარცხალაძისა და ახლანდელი გენპროკურორის, შოთაძის ახლო თანამშრომლობაზე წარსულში, ასევე იმაზე, რომ ფარცხალაძე კონტაქტობს პროკურატურასთან. ნაცმოძრაობა ამ თემასაც სააკაშვილის დაცვისა და გამართლებისათვის იყენებს.

პროკურატურა ავრცელებს განცხადებას, სადაც ნათქვამია:

– მრავლად მოვისმინეთ სრულიად უსაფუძვლო და ცილისმწამებლური განცხადებები ოთარ ფარცხალაძის ვითომდა კავშირებზე საქართველოს პროკურატურასთან. ეს არ არის პირველი შემთხვევა ბოლო წლების განმავლობაში, როდესაც მსგავს ტყუილებს ვისმენთ ჩვენი უწყების მიმართ. პროკურატურის წინააღმდეგ დეზინფორმაციის გავრცელებას ძირითადად ის კონკრეტული პოლიტიკური ძალა ცდილობს, რომლის მიმართ წლებია სამართალწარმოება არაერთ სისხლის სამართლის საქმეზე მიმდინარეობს. პროპაგანდისტული დეზინფორმაციის მიზანი უწყების საქმიანობისთვის ხელის შეშლაა, რათა ჩადენილ დანაშაულზე პასუხი არავინ მოსთხოვოს.

პროკურატურის განცხადებით, ფარცხალაძემ მთავარი პროკურორის თანამდებობა დატოვა 2013 წელს და მას შემდეგ პროკურატურასთან არანაირი შემხებლობა არ ჰქონია.

განხადებაში ნათქვამია, რომ ფარცხალაძე არანაირად არის დაკავშირებული სააკაშვილის ბრალდების სისხლის სამართლის საქმეებთან.

– საქართველოს პროკურატურამ შექმნა საერთაშორისო ექსპერტთა საბჭო, რომელმაც შეისწავლა მიხეილ სააკაშვილის მიმართ მიმდინარე გამოძიებები. მტკიცებულებად სტანდარტი შეაფასეს უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე ექსპერტებმა, – აღნიშნავს პროკურატურა.

---

სამართალი

## ზუგდიდში, ორი პირის განზრახ მკვლელობის მცდელობისთვის, ბრალდებულს 17 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა



ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ სრულად გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და ორი პირის განზრახ მკვლელობის მცდელობის, ასევე, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარებისთვის ბრალდებული დამნაშავედ ცნო. ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს პროკურატურა ავრცელებს.

მათივე ცნობით, მეორე ბრალდებულის საქმე ამჟამად სასამართლოში განიხილება.

– სასამართლო პროცესზე წარდგენილი მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 1-ელ იანვარს, ბრალდებულმა რ.ა.-მ, მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ეცერში, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან ცეცხლი გაუხსნა იმავე სოფელში მცხოვრებ ძმებს, რომელთაგან ერთი ადგილზე გარდაიცვალა, ხოლო მეორემ ჯანმრთელობის დაზიანება მიიღო.

ასევე, აღნიშნული კონფლიქტის დროს, ინციდენტში მონაწილე სასაზღვრო პოლიციის თანამშრომელმა გ.ც.-მ ცეცხლსასროლი იარაღიდან შემთხვევის ადგილზე მყოფი კიდევ ორი პირის – გ.ა.-ს და ო.ა.-ს მიმართულებით რამდენიმე გასროლა განახორციელა. მიღებული ჭრილობების შედეგად გ.ა. გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა ბრალდებულები 2 იანვარს დააკავეს. რ.ა.-ს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,109-ე მუხლის „ლ“ ქვეპუნქტით (ორი ან მეტი პირის განზრახ მკვლელობის მცდელობა) და 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით (ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება) წარედგინა, ხოლო ც.გ.-ს ბრალდება წარედგინა საქართველოს სსკ-ის 19,109-ე მუხლის „ლ“ ქვეპუნქტით (ორი ან მეტი პირის განზრახ მკვლელობის მცდელობა), 126-ე მუხლის 11 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ცემა), 151-ე მუხლის პირველი ნაწილით (სიცოცხლის მოსპობის მუქარა) და 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით (ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება). ორივე ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ ბრალდებული რ.ა. სრულად ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 17 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა, ხოლო გ.ც.-ის ბრალდების საქმე, ამჟამად სასამართლოში განიხილება“, – აღნიშნულია უწყების მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

---

## შოთა თუთბერიძე: „მიხეილ სააკაშვილს ფარცხალაძის პროკურატურა და მურუსიძე-ჩინჩალაძის სასამართლო ასამართლებს“

საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის ადვოკატის, შოთა თუთბერიძის განცხადებით, 7 ნოემბრის საქმე პოლიტიკურია, ვინაიდან ყოფილ პრეზიდენტს „ფარცხალაძის პროკურატურა და მურუსიძე-ჩინჩალაძის სასამართლო ასამართლებს“.

– დღევანდელი პროცესი 7 ნოემბრის საქმეზე იმართება. ეს საქმე თანდათან ისევე, როგორც ყველა სხვა საქმე სააკაშვილის, უფრო და უფრო სასაცილო ხდება, მაშინ, როცა საქართველოს პრეზიდენტს, რომელიც არის არაერთ ქვეყანაში მიღებული პირი და არაერთი ქვეყნის პირველი პირის უმაღლესი ჯილდოს მფლობელი, მათ შორის, პოლიტიკური პატიმრობის პერიოდში, ფარცხალაძის პროკურატურა, მურუსიძე-ჩინჩალაძის სასამართლო ასამართლებს. ასამართლებს პოლიტიკური მართლმსაჯულების სისტემა, რომელიც სანქცირებულია ცივილიზებული, განვითარებული მსოფლიოს მიერ და რომელსაც ასე თავგამოდებით იცავს „ქართული ოცნება“. ცხადია, ეს არის პოლიტიკური პროცესი, რომელიც პრეზიდენტ სააკაშვილის წინააღმდეგ გრძელდება“, – განაცხადა თუთბერიძემ.

კითხვაზე, „სასაცილო ტელეკომპანია „იმედში“ შეჭრა და მომიტინგეთა დარბევა არის თუ არა, ადვოკატი ასე პასუხობს:

– სასაცილოა ის, რომ საქართველოში მესამე პრეზიდენტს მსოფლიოს ყველაზე ავტორიტეტული ქვეყნებისგან ჯილდოები აქვს მიღებული მათ შორის, პოლიტიკური პატიმრობის გამო, ადამიანზე, რომელზეც მსოფლიოს განვითარებული ქვეყნის ლიდერები საუბრობენ, რომ პოლიტიკური პატიმარია, ადამიანზე, რომელზეც საქართველოს პრემიერ-მინისტრი და ქართველი ოლიგარქის ხელის ბიჭი ამბობს, რომ არჩევანი ჰქონდა ან პოლიტიკას შეშვებოდა ან დაიჭერდნენ, ამ ადამიანს ასამართლებს ფარცხალაძის პროკურატურა და მურუსიძე-ჩინჩალაძის „კლანი“, ეს არის სწორედ სასაცილო. ეს ტრაგიკულია მოკლევადიან პერიოდში, მაგრამ დარწმუნებული ვარ, საქართველო ამ ბედკრულ პერიოდსაც გაივლის და ობიექტური, არაპოლიტიკური მართლმსაჯულება იქნება, მაშინ შეგვიძლია ყველა პირის პასუხისმგებლობაზე საუბარი, – განაცხადა თუთბერიძემ.

---



## შეხვედრა რამშტაინის ფორმატში

შედგა მორიგი შეხვედა რამშტაინის ფორმატში. მასზე ვრცელი მოხსენებით გამოვიდა აშშ-ის თავდაცვის მინისტრი, გენერალი ოსტინი.

გენარალმა აღნიშნა, რომ უკრაინისადმი დახმარების პაკეტი მუდამ მნიშვნელოვანი იყო. ასეა ახლაც. მან ხაზი გაუსვა, რომ უკრაინა მიიღებს აბრამსის ტიპის ტანკებს.

ოსტინმა ხაზი გაუსვა, რომ უკრაინის მოკავშირეებმა ახალი კოალიცია შექმნეს. კიევისადმი დახმარებაც განახლებული ძალით წარიმართება. ოსტინმა დაასახელა რუსების უახლესი სამიზნეებიც უკრაინაში.

ხორბლის საწყობებს რუსების გეგმებში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. რუსეთი ცდილობს, მთელ მსოფლიოში ხელოვნური შიმშილი გამოიწვიოს. პუტინიც საკითხს შემდეგნაირად დასვამს: ან უკრაინისადმი დახმარების გაგრძელება და შიმშილი, ან დახმარების შეწყვეტა. რუსეთის დიქტატორი მთელი მსოფლიოს დაშანტაჟებას ცდილობს.

გენერალი ოსტინი ამას მთლიანად ეთანხმება. ის აცხადებს, რომ უკრაინისათვის ჰაერსაწინააღმდეგო სისტემების მიწოდება აშშ-ისათვის პრიორიტეტია. უკრაინას ის უკვე მიაწოდეს, მაგრამ ეს უდავოდ საკმარისი არაა, რადგანაც რუსების მიერ უკრაინის დაბომბვები გაგრძელდება. ამრიგად, შეხვედრამ რამშტაინის ფორმატში გვაჩვენა, რომ რუსების მიერ უკრაინის ტერიტორიის დაბომბვას აშშ-ის დახმარების გაზრდა მოჰყვა. ამიტომაც ოკუპანტებმა ფრონტებზე ვერცერთი მეტრით წინ წაწევა ვერ მოახერხეს. დახმარება მომავალშიც გაგრძელდება. ის არც მიმდინარე, არც მომავალ წელს შეწყდება, თუმცა, აშშ-ში ახალი წინასაარჩევნო კამპანია იწყება. ამრიგად, პუტინის ტაქტიკამ კვლავ მარცხი განიცადა. მან ვერც უკრაინელები დააშინა, ვერც უკრაინის მიმართ აშშ-ის პოლიტიკის შეცვლა განაპირობა. დაბომბვებმა გააძლიერა უკრაინელთა გაბოროტება რუსეთისადმი, ხოლო პუტინის პრესტიჟი საერთაშორისო არენაზე კიდევ უფრო დაბლა დასცა. ამრიგად, რუსეთის საერთაშორისო იზოლაცია ძლიერდება. ეს უკრაინაში სამხედრო მარცხის ფონზე ხდება. ამერიკელი ექსპეტები მიიჩნევენ, რომ რუსეთში ცვლილებები კარსაა მომდგარი. პუტინის პოლიტიკამ ქვეყანა ჩიხში შეიყვანა. რასაკვირველია, რევოლუცია რუსეთში გამორიცხულია, მაგრამ სასახლის გადატრიალება კი შესაძლებელია. რაც უფრო გაგრძელდება ომი უკრაინაში, ეს შესაძლებლობაც მით უფრო გაიზრდება.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

# ანარქისტი, რომელიც ყირიმის ხაფანგში გაება

## ოდესღაც მრისხანე მახნომ პარიზში, სიღატაკეში დალია სული

ძნელია მსოფლიო ისტორიაში მოძებნო მეორე ისეთი ტრაგიკული პიროვნება, როგორიც ნესტორ მახნო იყო. დისკუსიები მახნოს პერსონის გარშემო დღესაც გრძელდება.



### არჩევანი

ნესტორ ივანეს ძე მახნო დაიბადა 1889 წელს სოფელ გულიაი-პოლეში (ამჟამინდელი დნეპროპეტროვსკის ოლქი), ღარიბი გლეხის ოჯახში. მისი განათლება სოფლის სკოლის სამი კლასით ამოიწურებოდა. თხუთმეტი წლისამ მონაწილეობა მიიღო ძარცვაში. მახნოსა და მის მეგობრებს არ გაუმართლათ: მათ პოლიცია დაედევნა. ატყდა სროლა, რომლის დროსაც მახნოს პოლიციელი შემოაკვდა. ამის გამო მას გარდუვალი სახრჩობელა ელოდა. სიკვდილს მხოლოს მცირეწლოვანების გამო გადაურჩა. მომავალ ბატკოს უვადო კატორღა მიუსაჯეს.

კატორღაში მახნო დაუახლოვდა ანარქისტებს. ერთ-ერთმა მათგანმა ურჩია თავი ანარქისტად გაესაღებინა, რადგან პოლიტიკურებისათვის კატორღაში ბევრად იოლი რეჟიმი იყო. მახნო ასეც მოიქცა. მან განაცხადა, რომ შექმნა გულიაი-პოლეში ანარქისტული ჯგუფი, ეწეოდა ექსპროპრიაციებს და ა.შ. ამის შემდეგ ის ანარქისტთა ჯგუფში მიიღეს. ერთ-ერთმა ანარქისტმა ჰკითხა:

– სწავლა გინდა?

– ძალიან, – მიუგო მახნომ

– მაშ, შევუდგეთ განათლების მიღებას.

პატიმარ-ანარქისტთა უმრავლესობა ინტელიგენტი იყო. ზოგიერთს უმაღლესიც კი ჰქონდა დამთავრებული, სხვებმა ეს რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობის გამო ვერ შეძლეს. მათ ჩაუტარეს ნიჭიერ გლეხის ბიჭს პირველი გაკვეთილები არითმეტიკაში, ისტორიაში, ლიტერატურაში და, რასაკვირველია, ანარქიზმში. მახნო ყველაფერს იოლად ითვისებდა. განსაკუთრებით ანარქიზმი მოეწონა.

– გინდა ანარქისტი გახდე?

– მინდა.

– დაფიქრდი, ეს შენი საბოლოო გადაწყვეტილებაა?

– დიახ.

– შენ მზად ხარ, თავი შესწირო ანარქიის იდეალებს?

– დიახ.

### მე უკრაინის დამოუკიდებლობის წინააღმდეგი ვარ

1917 წლის თებერვალში დაემხო ცარიზმი. რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე გააქტიურდნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობები. კიევში შეიქმნა ცენტრალური რადა. უკრაინული სახელმწიფოებრიობის აღორძინების საკითხი ოფიციალურად დადგა დღის წესრიგში.

თებერვლის რევოლუციამ გაათავისუფლა მახნო. მშობლიურ სოფელში ის ავადმყოფი დაბრუნდა. მახნომ უმალ შემოიკრიბა თანამოაზრეების ჯგუფი, შეეცადა ანარქისტული მოძრაობის ფართოდ გაშლას, მაგრამ ამაოდ. გარშემო ყველას პირზე უკრაინის დამოუკიდებლობა ეკერა. მახნოს „თავისუფალი საბჭოები“ არავის სჭირდებოდა.

* * *

1917 წლის ოქტომბერში რუსეთში მოხდა სახელმწიფო გადატრიალება. ხელისუფლებაში ბოლშევიკები მოვიდნენ. მალე რუსეთ-უკრაინის ომი დაიწყო. 1918 წლის გაზაფხულზე უკრაინა გერმანელებმა დაიკავეს. მათ გარეკეს ცენტრალური რადა, ხოლო უკრაინის ჰეტმანად გენერალი პავლო სკოროპადსკი გამოაცხადეს. ბრესტის ზავის თანახმად, საბჭოთა რუსეთი იძულებული გახდა, ეღიარებინა დამოუკიდებელი უკრაინა.

მახნო და მისი თანამოაზრეები წითელგვარდიელებს საბჭოთა რუსეთში გაჰყვნენ. მახნო დასახლდა მოსკოვში, სადაც იქაურ ანარქისტთა წრეში ტრიალებდა. მალე ენერგიული უკრაინელი ანარქისტით ჩეკა დაინტერესდა. ძერჟინსკიმ პირადად მოახსენა ლენინს, რომ მოსკოვში გამოჩნდა ვინმე მახნო, რომელსაც ტერორისტული მიდრეკილებები ახასიათებს. „ამ კაცს არ აქვს მიღებული საფუძვლიანი განათლება, სამაგიეროდ, გააჩნია ალღო და ორგანიზატორული ნიჭი. შესაძლოა, გადავისროლოთ ოკუპირებულ უკრაინაში, რათა სისხლი გაუშროს გერმანელებს.“ ლენინმა გადაწყვიტა მახნოს ნახვა. მალე კრემლში მათი შეხვედრა შედგა.

– ამხანაგო მახნო, მე თქვენზე ბევრი რამ მსმენია, – ლენინმა მაგრად ჩამოართვა ხელი სტუმარს.

მათმა საუბარმა ორსაათნახევარს გასტანა. ამის შემდეგ ლენინმა გასცა განკარგულება ყოველმხრივ დახმარებოდნენ მახნოს. მალე პატარა, მაგრამ კარგად შეიარაღებულ რაზმთან ერთად მახნო უკრაინაში გადავიდა.

### ლეგენდარული „ტაჩანკა“

მახნო ჩავიდა მშობლირ გულიაი-პოლეში და შეკრიბა თავზეხელაღებულთა გუნდი. გერმანელებისა და მემამულეებისგან ხალხი ისე იყო შეწუხებული, რომ მახნოს მხარი დაუჭირეს. პარტიზანული რაზმიც დღითიდღე იზრდებოდა. ასე აზვირთდა მოძრაობა, რომელიც ისტორიაში მახნოვშჩინის სახელით შევიდა. მისი ცენტრი გახდა მახნოს მშობლიური გულიაი-პოლე.

მალე მახნომ კონტროლი დაამყარა მოზრდილ ტერიტორიაზე. აქ მან ფრიად ორიგინალური წესები დაამყარა. ხელისუფლებას განასახიერებდნენ „თავისუფალი საბჭოები“, რომელთაც მოსახლეობა ირჩევდა. ასევე არჩევითი იყო ყველა, მათ შორის ჯარის მეთაურების თანამდებობაც. ჯარში სამსახური ნებაყოფლობითი იყო. ნებისმიერ ჯარისკაცს ნებისმიერ დროს შეეძლო არმიიდან წასვლა. მახნოს ბრძანებით, გლეხებისთვის გაიხსნა უფასო სკოლა, სადაც წერა-კითხვას ასწავლიდნენ. ციხე, როგორც ასეთი, მოისპო. კანონის დამრღვევთ ან საჯაროდ ამათრახებდნენ, ან ხვრეტდნენ.

გერმანელები ამაოდ ცდილობდნენ მახნოს განადგურებას. მათთან ბრძოლისას მახნო წარმოჩნდა, როგორც ნიჭიერი პარტიზანი. სწორედ მახნომ გამოიყენა პირველად „ტაჩანკები“. ამან მახნოს არმია უფრო მობილური გახადა.

### მახნო და პეტლიურა

1918 წლის დეკემბერში უკრაინაში გერმანელთა წინააღმდეგ საერთო-სახალხო აჯანყება დაიწყო. მას სათავეში სიმონ პეტლიურა (1877-1926) ჩაუდგა. აჯანყებულებმა დაამხეს ჰეტმანი სკოროპადსკი, გარეკეს გერმანელები და აღადგინეს დამოუკიდებელი დემოკრატიული უკრაინული რესპუბლიკა. მალე გულიაი-პოლეში ჩავიდნენ პეტლიურას ემისრები.

– ჩვენ მივმართავთ სახელოვან ბატკო მახნოს და მოვუწოდებთ გაერთიანებისკენ.

პეტლიურას ემისრები მახნომ თავაზიანად მიიღო, თუმცა გაერთიანებაზე არც უფიქრია. მას შურდა პეტლიურასი, რომელსაც ბევრად მეტი მომხრე ჰყავდა. ამიტომაც მახნომ მიიღო ბოლშევიკების წინადადება პეტლიურას წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის შესახებ. მალე მახნოს არმია ეკატერინოსლავისკენ დაიძრა. ბოლშევიკური რევკომიც ამას უცდიდა. ქალაქში პუტჩი დაიწყო. მახნოელებმა და ბოლშევიკებმა ქალაქი აიღეს. ეკატერინოსლავში მაროდიორობამ დაისადგურა. მალე პეტლიურამ ქალაქისკენ მსხვილი შენაერთები გადმოისროლა. უკრაინულმა არმიამ განდევნა ქალაქიდან პუტჩისტები. მახნოელთა შორის დანაკარგი დიდი იყო. თავად მახნო ბეწვზე გადაურჩა სიკვდილს.

### დასცხე წითლებს, სანამ არ გაწითლდებიან, დასცხე თეთრებს, სანამ არ გათეთრდებიან

1919 წლის ზამთარში უკრაინის ტერიტორიის დიდი ნაწილი რუსულმა წითელმა არმიამ დაიკავა. იმავე წლის გაზაფხულზე შემოიჭრა დენიკინის თეთრი არმია, რომელიც ასევე უკრაინაზე ბატონობას ესწრაფოდა. ამიტომ უკრაინელი ხალხი დაირაზმა როგორც თეთრი, ისე წითელი რუსეთის წინააღმდეგ. ნაციონალური წინააღმდეგობის მოძრაობას სათავეში სიმონ პეტლიურა ჩაუდგა.

შექმნილი ვითარება უკარნახებდა მახნოს შეეკრა ალიანსი პეტლიურასთან. გულიაი-პოლელი ბატკო ამას არ ჩქარობდა. თავს იჩენდა როგორც პირადი სიძულვილი, ასევე იდეოლოგიური უფსკრული. მახნო ფიზიკურად გაუსწორდა ატამან გრიგორიევს, რომელმაც პეტლიურას დავალებით ბოლშევიკების ზურგში აჯანყება მოაწყო. მიუხედავად ამისა, ბოლშევიკებმა არ დაუფასეს ამაგი. ლევ ტროცკიმ მახნოს ცოცხლად შეპყრობა ბრძანა. ამრიგად, მახნოსა და წითელ არმიას შორის დაიწყო ომი. მალე დენიკინელები მოვიდნენ. მახნომ მათ წინააღმდეგ პარტიზანული მოძრაობა გააჩაღა. სწორედ მაშინ დაიბადა ცნობილი ლოზუნგი:

– დასცხე წითლებს, სანამ არ გაწითლდებიან! დასცხე თეთრებს, სანამ არ გათეთრდებიან!

დენიკინთან ბრძოლის დროს მახნოელებსა და პეტლიუროველებს შორის ურთიერთობები დათბა. ადგილი ჰქონდა რიგ ერთობლივ ოპერაციებსაც კი. მიუხედავად ამისა, აშკარა იყო ამ ალიანსის დროებითობა. მახნო ემზადებოდა, რათა რევოლუციაში მესამე ძალად წარმოჩენილიყო. უკრაინის დამოუკიდებლობა მისთვის კვლავ მიუღებელი იყო.

1920 წელს წითელმა არმიამ კვლავ დაიკავა უკრაინა. მახნო ერთხანს ებრძოდა მას. პეტლიურას წინადადება ერთიანი ანტიბოლშევიკური ფრონტის შექმნის შესახებ მან უარყო. სამაგიეროდ, მიიღო წითლების წინადადება ვრანგელთან ერთობლივი ბრძოლის შესახებ. მახნოელები და ბოლშევიკები კვლავ მოკავშირენი გახდნენ. მალე მახნოს არმია ყირიმისკენ დაიძრა, სადაც თეთრი გენერალი, ბარონი ვრანგელი გამაგრდა.

უფროსი თაობის ადამიანებს ალბათ ახსოვთ მოთხრობა „მარილის აკვანი“. მასში აღწერილია, როგორ გადავიდნენ სივაშით წითელარმიელები და განდევნეს ყირიმიდან ვრანგელი. სინამდვილეში სივაშით გადასვლის იდეა მახნოს ეკუთვნოდა. ეს მისი მებრძოლები გადავიდნენ სივაშით და გზა გაუხსნეს წითელარმიელებს. მახნოელთა უმრავლესობა სამუდამოდ ჩანვა მარილის აკვანში. ნაწილი ყირიმის ბრძოლებში დაეცა. ვრანგელის განდევნის შემდეგ მახნოს არმიის ნახევარზე მეტი აღარ არსებობდა.

ამის შემდეგ, მიხეილ ფრუნზეს ბრძანებით, წითელმა არმიამ ზურგში დაარტყა მახნოელებს. ყირიმის ხაფანგში შეტყუებული მახნოს არმია განწირული იყო.

* * *

თავად მახნომ მებრძოლთა მცირერიცხოვან ჯგუფთან ერთად შეძლო გაქცევა. მახნო შეეცადა წინააღმდეგობის ორგანიზაციას, მაგრამ ამაოდ. საბოლოოდ ის იძულებული გახდა საზღვარზე გადასულიყო და რუმინეთის ხელისუფლებას ჩაბარებოდა. ასე დაიწყო ემიგრაციის ხანგრძლივი და დუხჭირი წლები.

რუმინელებმა ანარქისტი მახნო ციხეში ჩააგდეს, ხოლო გარკვეული დროის შემდეგ გაათავისუფლეს. მახნო გადავიდა პოლონეთში, სადაც კვლავ დააპატიმრეს. პატიმრობიდან გათავისუფლების შემდეგ მახნო გაემგზავრა პარიზში. ის მთლიანად ჩამოშორდა პოლიტიკურ საქმიანობას. ოდესღაც მრისხანე ბატკო მუშაობდა მეწაღედ, შემდეგ სტამბის მუშად. აქვე დაწერა მან თავისი მემუარებიც. გარდაიცვალა მახნო პარიზში, 1934 წელს, აბსოლუტურ სილატაკეში.

---

**საერთაშორისო**

### ქალაქი დონეცკი კვლავ დაიბომბა

რუსეთ-უკრაინის ფრონტზე ბრძოლებია. როგორც უკრაინის სამხედრო დაზვერვა ვარაუდობდა, კუპიანსკთან ოკუპანტებმა შეტევაზე გადასვლა სცადეს. რუსები უკრაინელთა მძაფრ ცეცხლქვეშ მოექცნენ და უკან დაიხეს. რაც შეეხება ვითარებას სვატოვო კრემენოეს მიმართულებით, აქ უკრაინელები კონტრშეტევაზე გადავიდნენ და რამდენიმე კილომეტრით წაიწიეს წინ. ეს წინსვლა სერიოზული არაა, მაგრამ თავად ფაქტი წინსვლისა უდავოდ საყურადღებოა. აქამდე უკრაინელები ფრონტის ამ უბანზე ძირითადად თავდაცვით ბრძოლებს ეწეოდნენ.

დონბასის ფრონტზე შეინიშნება სასიამოვნო სიახლეები. უკრაინელები განაგრძობენ წინსვლას. ბახმუტის მიდამოებში მათ კიდევ რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს. რუსმა ოკუპანტებმა სცადეს ანდრეევკის მახლობლად დაკარგული პოზიციები დაებრუნებინათ, მაგრამ ამაოდ. უკრაინელთა მძაფრი ცეცხლის შედეგად მტერმა უკან დაიხია. უკრაინული არმია განაგრძობს წინსვლას დონეცკის ფრონტზე. უშუალოდ ქალაქი დონეცკი კვლავ დაიბომბა. ცეცხლი გაუჩნდა ე.წ. „დონეცკის რესპუბლიკის“ მეთაურის პუშილინის ოფისს. ზაპოროჟიე-ხერსონის ფრონტებზე გრძელდება უკრაინელთა წინსვლა. ზაპოროჟიეს ფრონტზე უკრაინელები ორი მიმართულებით უტევენ: ბერდიანსკისა და მელიტოპოლის. რაც შეეხება ხერსონს, აქ უკრაინელები მტკიცედ დამკვიდრნენ ხერსონის ოლქის დნეპრის მაცხენა ნაპირზე. პლაცდარმი შემდგომი წინსვლისათვის სულ უფრო ფართოვდება. ფრონტზე უკრანელთა წამატებების ფონზე სულ უფრო იზრდება რუსეთის მიერ უკრაინის დაბომვები. ოკუპანტებმა დაბომბეს ქალაქები: კრივოი როგი, ნიკოლაევი, ოდესა, კიევი, ლვოვი, ივანო ფრანკოვსკი.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

---

**სასარგებლო-რჩევები**

### ყველაზე სასარგებლო პროდუქტი



რძეს, ანუ „სიცოცხლის წვენს“, როგორც მას ძველი ბერძნები უწოდებდნენ, ავიცენა თვლიდა კვების არამარტო ყველაზე მნიშვნელოვან პროდუქტად, არამედ დღეგრძელობის ელექსირად.

გვირჩევენ მივილოთ ის გვიან საღამოს დამშვიდების მიზნით, ან დილით ადრე – ძალების მოსაკრებად. პროდუქტი შეიცავს უამრავ სასარგებლო ნივთიერებას. მასში არის ლაქტოზა – რძის შაქარი – ენერგიის შეუცვლელი წყარო. ის აუცილებელია გულის, ღვიძლის, თირკმელების მუშაობისათვის. რძის ცილები თავისი კვებითი თვისებებით არ ჩამოუვარდება ხორცის, კვერცხისა და თევზის ცილებს. რძის ცილა საჭიროა ორგანიზმის ზრდისა და განვითარებისათვის, სასარგებლოა ღვიძლისა და თირკმელებისათვის. იგი მდიდარია ვიტამინით, რომელიც აუცილებელია მხედველობისათვის. ამ ვიტამინის დეფიციტი ბავშვებში იწვევს ზრდის შეფერხებას. თუ 500-700 მლ რძეს დალევთ, ორგანიზმი მიიღებს ყველა აუცილებელ ნივთიერებას. მაგრამ ამ სასარგებლო ელემენტს შეიცავს მხოლოდ აუდუღარი რძე.

მხოლოდ ადუღებული რძით მკურნალობენ საჭმლის მომნელებელ ორგანოებს: ღვიძლს, ნივთიერებათ ცვლის დარღვევას და კუჭის მაღალ მჟავიანობას. რძე უნდა სვათ პატარა ყლუპებით.

რძე და თაფლი შესანიშნავი საშუალებაა უძილობის წინააღმდეგ.

თხის რძე შესანიშნავად მოქმედებს კუჭის ლორწოვან გარსზე, ახვევს მას თხელ დამცავ აპკში.

რძე და გამთბარი კონიაკი გამოიყენება ბრონქიტისა და ხანგრძლივი ხველების სამკურნალოდ.

### სოია სასარგებლოა



ამ პროდუქტით საყოველთაო გატაცება 20 წლის წინ დაიწყო, ჩინეთში კი – (სოიას სამშობლო) 7.000 წლის წინ. აქ მას წმინდა მარცვლოვან მცენარედ თვლიან.

სოიას მარცვლები თავისი უნივერსალობით გამოირჩევა. მისგან რას არ ამზადებენ. რძეს იღებენ, აკეთებენ საწებელს, გამოჰყავთ ყველი (ტოფუ), ფქვილი და ხორცის მაგვარი ფარში. დასავლეთის ბაზარში ყოველწლიურად დაახლოებით სოიას 500 ახალი პროდუქტი ჩნდება.

სოია არ შეიცავს ქოლესტერინს. სოიას ცილა შესანიშნავად შეითვისება და ხელს უწყობს დაგროვილი ქოლესტერინის ორგანიზმიდან გამოდევნას. სოიას რძე და მისი ნაწარმი კალციუმის შემცველობის თვალსაზრისით ტრადიციული რძის პროდუქტების შემცველადაა აღიარებული. სოიას საწებელი ხელს უწყობს საკვების ადვილად მონელებას. სოიას ყველა პროდუქტი (განსაკუთრებით, ტოფუ) ორგანიზმს სარძევე ჯირკვლების კიბოს, გულ-სისხლძარღვთა დაავადებებისა და ოსტეოქონდროზის წინააღმდეგ ბრძოლაში ეხმარება.

ნატურალური ტოფუ ნეიტრალური გემოს პროდუქტია. ის ხორცს ჩამოჰგავს. შესანიშნავია სალათებსა და წვნიანებში. კარგია სოიას ლივიც. ამონაზარდო რომ არ გაფუჭდეს, როგორც კი იყიდით, 2 წუთით ადუღებულ წყალში ჩადეთ. არ არის რეკომენდებული გაღვივებული სოიას ამონაზარდის უმად ჭამა – მავნებელია.

სოიას პროდუქტების ბოროტად გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს არასასურველი შედეგი: უნაყოფობა, ფარისებრი ჯირკვლის პრობლემა და ზოგიერთი სახის კიბოც. შოიას ცილის დღიური ნორმა 25 გრამია (100 გრ. სოიას რძე შეიცავს 6,7 გრ. ცილას, 100 გრ. ტოფუ – 18 გრ-ს).

### როგორ მოვუაროთ თმას



ზამთარში თმა სერიოზულ ცვლილებებს განიცდის – უფერულდება, იმსხვრევა და ხშირად ცვენასაც იწყებს. ამის მიზეზია სიცივე, მშრალი ჰაერი ბინაში, სინათლის და ვიტამინების ნაკლებობა.

**გთავაზობთ თმის მოვლის რამდენიმე წესს:**

ლიმონის სავლები: დაბანის შემდეგ თავზე გადაივლეთ 1 ლიმონის წვენისა და 2 ჩ.ჭ. მინერალური წყლის ნარევი – ის გახდება დამყოლი, აბრეშუმისებრი ბზინვარე.

მშრალი თმისათვის: ერთი კვერცხის გული 1 ჩ.ჭ. სპირტისა და 1 ჩ.ჭ. წყლის ნაზავი შეიზილეთ თავის კანში – კვებავს და ამაგრებს თმის ძირებს.

ცხიმიანი თმისათვის: თმის ძირებში შეიზილეთ კარგად ათქვეფილი 1-2 კვერცხის ცილა, გაიშალეთ, კარგად ჩამოიბანეთ და შემდეგ თავი დაიბანეთ გოგირდის საპნით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბაიდენი გაეროს გენასამბლეაზე გამოვიდა



აშშ-ის პრეზიდენტი ბაიდენი გაეროს გენასამბლეის სხდომაზე გამოვიდა. მან განაცხადა, რომ უკრაინისადმი მხარდაჭერა სხვა ქვეყნების დახმარებასაც ნიშნავს.

აშშ-ის პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ უკრაინისადმი დახმარება სხვა ქვეყნების გადარჩენასაც ნიშნავს.

## გენერალმა მილიმ რუსების დეზინფორმაცია უარყო



აშშ-ის გაერთიანებული შტაბების უფროსმა, გენერალმა მილიმ რუსების მორიგი დეზინფორმაცია უარყო. საუბარია რუსული მედიით გავრცელებულ ცნობაზე, თითქოს მილიმ განაცხადა, რომ უკრაინელთა კონტრშეტევა ჩაიშალა და თავად მილიც იმედგაცრუებულია. გენერალმა განაცხადა, რომ უკრაინული არმია ნელა, მაგრამ მიზანმიმართულად მიიწევს წინ, რათა ცოცხალი ძალა დაზოგოს.

გენერალმა აღნიშნა, რომ უკრაინელთა შეტევა ზამთარშიც გაგრძელდება.

## ზელენსკი გაეროს გენასამბლეის სხდომაზე გამოვიდა



უკრაინის პრეზიდენტი ვოლოდიმირ ზელენსკი გაეროს გენასამბლეის სხდომაზე გამოვიდა. მან განაცხადა, რომ რუსები უკრაინას გაძლიერებულად ბომბავენ. მიზანში ამოღებულია არა მხოლოდ ენერგოსისტემები, არამედ სურსათის საწყობებიც.

უკრაინის პრეზდენტმა აღნიშნა, რომ დაუშვებელია, ბირთული იარაღი ჰქონდეს ისეთ ქვეყანას, როგორიც რუსეთია.

## მთიან ყარაბაღში ბრძოლებია



მთიან ყარაბაღში ვითარება დაიძაბა. მიზეზი აზერბაიჯანის შსს-ს ექვსი თანამშრომლის ნაღმზე აფეთქება იყო. პასუხად აზერბაიჯანმა სომხეთი ტერორიზმში დაადანაშაულა. დაიწყო საომარი მოქმედებები. აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა სამინისტრომ მშვიდობის დამყარების პირობები წამოაყენა. ესენია: 1) მთიან ყარაბაღში ბრძოლების შეწყვეტა; 2) ყველა სომხური ფორმირების გაყვანა; 3) ხანკენდიში (სტეფანაკერტი) არსებული გაურკვეველი რეჟიმის დემონტაჟი.

პარალელურად ერევანში მიმდინარეობს მასობრივი მიტინგები პრემიერ პაშინიანის გადადგომის მოთხოვნით. მომიტინგეები აცხადებენ, რომ პაშინიანმა დახმარებისათვის რუსეთს უნდა მიმართოს. თავად პაშინიანმა განაცხადა, რომ სომხეთში არიან ძალები, რომელთაც აკონტროლებს ზოგიერთი უცხო სახელმწიფო, აგრეთვე ადგილობრივი ექსტრემისტები. რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივანის მოადგილემ მედვედევმა განაცხადა, რომ რუსეთი მზადაა, დაეხმაროს მოძმე სომეხ ხალხს.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## ნინო ხარატიშვილი გერმანიაში დააჯილდოვეს

**დასაწყისი მე-8 გვერდზე**

რომ სიცოცხლე შეიძინოს, არამედ ჩემს სიტყვებს. და ხანდახან საუკეთესო მომენტებში, ექსტაზის მდგომარეობაში, რომელიც ზოგჯერ დადგება ხოლმე წერისას, იმდენად ვშორდები საკუთარ თავს, რამდენადაც ამის წარმოდგენა შეიძლება. ვქრები და ვუჩინარდები ყველა გამონაგონი, ყველა შეთხზული ამბის უკან და მაინც ღრმად აქვს გადგმული ჩემში ფესვები ამ გამონაგონს. ისეთ რამეს ვეპოტინები, რაც ჩემში იყო ჩამალული და რასაც ყოველდღიურ ცხოვრებაში ზოგჯერ ვერ ვიხელთებ.

მაშ, რატომ აღმოჩნდა წერა ჩემთვის გადარჩენის ტოლფასი, თუკი ის არც თერაპიაა, არც გაქცევის საშუალება, არც პასუხი კითხვებზე? კარგად არ მახსოვს, მაშინ რას ვწერდი, თუმცა, მახსოვს, რომ ბევრ რამეს ვიგონებდი, რომ ეს საქმიანობა თანდათან საყრდენად მექცა, ჩემი მეორე ტყავი გახდა, მასში ვძვრებოდი, თუ გარესამყარო კეთილგანწყობილი არ მეჩვენებოდა. მოგვიანებით ამ ფუნქციას ჩემი თეატრალური ჯგუფი მისრულებდა, რომელიც სკოლაში ჩამოვაყალიბეთ, პიესებს ვწერდი და თვითონ ვდგამდი სცენაზე. ძირითადად, სანთლის შუქზე ვატარებდით რეპეტიციებს, სექტას ვგავდით. და მაინც, ეს დრო ძალიან ინტენსიურად მახსენდება. ფერადად. დღეს ვეკითხები ხოლმე ჩემს თავს, რანაირად-მეთქი. იქნებ მაშინ საერთოდ არ ვსვამდი ამ კითხვას, მთავარ კითხვას, რომელსაც 2022 წლის 24 თებერვლის შემდეგ მუდმივად ვსვამ, რომელიც ისევ გამახსენა ტანიას სიტყვებმა? რისთვის ვწერ, თუ რეალობის ყალიბში მოქცევა და აღწერა შეუძლებელია, თუ მასზე გავლენას ვერ ახდენ სიტყვებით, როცა გგონია, რომ ყველანაირი ჰუმანურობა, ყველანაირი ემპათია, რომელიც ლიტერატურის საფუძველში დევს, გააქრო (ომის) რეალობამ, ყველა ფასეულობა გაანადგურა, რომლისაც გწამდა?

დიახ, ალბათ მაშინ 14-16 წლის მოზარდის თავდაჯერებულობით ვმოქმედებდი. ჩემთვის პროცესი იყო მთავარი, პროცესი მაკმაყოფილებდა, დანარჩენზე კი თვალს ვხუჭავდი. ეს თავდაჯერებულობა, საოცარია, მაგრამ ასაკთან ერთად, მცირდება, ყოველ შემთხვევაში, მე ასე მეჩვენება. გამოცდილება სიფრთხილეს გვასწავლის, სამყაროს სისასტიკესა და უსამართლობაზე კი თინეიჯერული სიჯიუტითა და რადიკალურობით ველარ ვხუჭავთ თვალს. და მაინც, მაინც ვეძებ აზრს, ადრე რომ შეუვალი მეგონა და რომელსაც ტანიასთან უსიტყვო დიალოგში ვუკირკიტებ. მან ხომ ზუსტად ჩემი ეჭვები გამოთქვა, ისევ გამიხსნა ძველი ჭრილობა. მაგრამ მინდა, რომ საპირისპიროში დავარწმუნო ის, და ამგვარად ჩემი თავიც, რადგან ვიცი, ჩვენ თავიდან უნდა აღმოვაჩინოთ ეს აზრი, თუნდაც მისი ხელახლა გამოგონება დაგვჭირდეს.

მე ისევ უნდა ვიპოვო ის, ჩვენ ორივემ უნდა ვიპოვოთ. ყველამ ერთად, სასოწარკვეთილები რომ შევცქერით ტელეეკრანებს და კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, როგორი მყიფეა ჩვენი ცივილიზაციის საყრდენი, ლამის არც არსებობს: გაყინული ტბაა, რომელიც ისე უეცრად ჩატყდება, რომელიც კიდევ ერთხელ ჩატყდა და კოლოსალური, სიკვდილის მომასწავებელი უფსკრული გამოაჩინა. მაგრამ სხვა გზა არ გვაქვს, ალტერნატივა არ გაგვაჩნია, ყველამ თავისი იარაღით უნდა იბრძოლოს, ჩვენი იარაღი კი სიტყვებია. ფარხმლის დაყრა უფსკრულში ჩავარდნას ნიშნავს – ეს კი დაუშვებელია.

პ.ს. ცოტა ხნის წინ შტუტგარტის ლიტერატურულ ფესტივალზე შენს მოთხრობებს რომ კითხულობდი, გისმენდი და ყელში ბურთი გამეჩხირა, თავი დავხარე, რომ სცენაზე არ მეტირა. არ მინდოდა ყველაფერი იმის გაგონება, გაქცევა მინდოდა. მოგვიანებით, სასტუმროში რომ დავბრუნდი, ჩემში სიმშვიდემ დაისადგურა, ერთი წამით სამყარო გაირინდა. პირველად იყო რამდენიმე თვის განმავლობაში, რომ შენი, ჩვენი მთავარი კითხვა არ მიფეთქავდა თავში. რადგან აზრი გაჩნდა. აზრი, რომელიც შენ შექმენი შენი სიტყვებით – შენ დაუბრუნე ხილულობა ენაწართმეულებსა და ჩაფერფლილებს, მკვდრებს კი – ხმა. და ერთი წამით რაღაც გამრთელდა ჩემში. სულ ერთი წამით. თუმცა, ეს წამი დიდხანს გაგრძელდება.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

კალეიდოსკოპი

## კიმ კარდაშიანმა ფანები ბიკინიში გამოჩენით გაახარა

ამერიკელმა ტელევარსკვლავმა კიმ კარდაშიანმა თავისი თაყვანისმცემლები აუზთან ბიკინიში გადაღებული ფოტოსურათებით გაახარა. ფოტოსურათები მან ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა.



43 წლის ტელევარსკვლავმა ფოტოსურათები შეზლონგზე ყავისფერ ბიკინიში გამოწყობილმა გადაიღო. კადრებიდან ჩანს, რომ კარდაშიანმა აქსესუარების გაკეთებაზე უარი თქვა. ბიზნესმენმა ქალმა ფოტოზე საკუთარი სახის გამოჩენა არ ისურვა და მხოლოდ სხეული წარმოაჩინა.

კარდაშიანის გვერდის ხელმომწერები აღფრთოვანებულები დარჩნენ მისი გარეგნობით და საკუთარი აღფრთოვანება კომენტარებში გამოხატეს.

– როგორც ყოველთვის, უმშვენიერესი ხარ, – დაწერა ერთმა საკუთარ კომენტარში.

– ყოველდღე სულ უფრო და უფრო უკეთ გამოიყურები, – აღნიშნა მეორემ.

## ფსიქიატრიული საავადმყოფოს მედდა პაციენტთან სექსის გამო სასამართლოს წინაშე წარდგება

დიდ ბრიტანეთში ფსიქიატრიული საავადმყოფოს მედდას ფსიქიკურ ავადმყოფთან სექსის გამო სასამართლოში მოუწევს თავის მართლება.



შოტლანდიის ქალაქ გლაზგოს მკვიდრს, 37 წლის ჯინ მაკლარენს სქესობრივი კავშირი ჰქონდა ფსიქიატრიული საავადმყოფოს განსაკუთრებულად დაცული განყოფილების პაციენტთან. მამაკაცს სასამართლოს წინაშე წარდგომა 2013 წელს მოუწია დანის გამოყენებით განხორციელებული თავდასხმების სერიის გამო. მას სამუდამო პატიმრობა ემუქრებოდა, თუმცა მას იძულებით მკურნალობა მიესაჯა. რამდენიმე წლის შემდეგ კი ის გადაიყვანეს ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, რომელშიც მაკლარენი მუშაობდა. მათი რომანი ერთი წლის წინ ფიტნესის თაობაზე შემთხვევით დაწყებული საუბრის შემდეგ დაიწყო.

ამის შემდეგ ქალი სპეციალურად ირჩევდა ღამის ცვლაში მუშაობას. წყვილი ერთმანეთს დამხმარე სათავსოში ხვდებოდა და იქ სექსით კავდებოდნენ. 2019 წელს მაკლარენი სამსახურიდან ოფიციალურად განთავისუფლდა, თუმცა ზოგჯერ მაინც მორიგეობდა ღამის საათებში. მოგვიანებით, მამაკაცთან კამათის შემდეგ, ქალმა მასთან ურთიერთობა გაწყვიტა. თუმცა შემდეგ რამდენჯერმე გაუგზავნა წერილი და ტელეფონზეც დაურეკა.

მაკლარენის პაციენტთან ურთიერთობის შესახებ მას შემდეგ გახდა ცნობილი, როდესაც ქალმა მორიგ ჯერზე დარეკა და მამაკაცი მოიკითხა. მედდამ, რომელმაც ტელეფონზე უპასუხა, მისი ხმა იცნო და შემდეგ მისი ნომერი თანამშრომელთა ბაზაში გადაამოწმა.

მალე მაკლარენი დააპატიმრეს. მან პაციენტთან სქესობრივი კავშირი აღიარა. მას მედდად მუშაობა აეკრძალა. ამ დროისთვის ქალი პატიმრობიდან გირაოს სანაცვლოდაა განთავისუფლებული, თუმცა მას პატიმრობა ემუქრება.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

სპორტი

## თავისუფლებმა დაასრულეს, კლასიკები დღეს იწყებენ



სერბეთის დედაქალაქ ბელგრადში გამართული მსოფლიო ჩემპიონატი საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრებმა 2 ვერცხლისა და 2 ბრინჯაოს მედლით დაასრულა.

ბოლოს კვარცხლბეკზე გივი მაჭარაშვილი (97კგ) ავიდა, ვინაც ბრინჯაოს მედლისთვის თურქ ფალავანს იბრაჰიმ ჩიფჩის 6:2 სძლია და მედალთან ერთად პარიზის ოლიმპიური თამაშების ლიცენზიაც მოიპოვა.

შეგახსენებთ, მაჭარაშვილის გარდა, საქართველოს ნაკრებს მედლები ვლადიმერ გამყრელიძემ, გენო პეტრიაშვილმა (ორივე ვერცხლი) და შოთა ფარტენაძემ (ბრინჯაო) მოუტანეს.

ოლიმპიადის ლიცენზიები კი, მაჭარაშვილმა და პეტრიაშვილმა მოიპოვეს.

97 ქვეყნის ნაკრებს შორის, საქართველოს ნაკრებმა, საერთო გუნდურ ჩათვლაში, მე-3 ადგილი დაიკავა.

21 სექტემბრიდან მსოფლიო ჩემპიონატში ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეები ჩაებმებიან. საქართველოს სახელით იჭიდავებენ: ნუგზარ წურწუმია (55), ფრიდონ აბულაძე (60), ლერი აბულაძე (63), ჯონი ხეცურიანი (67), რამაზ ზოიძე (72), იური ლომაძე (77), გელა ბოლქვაძე (82), ლაშა გობაძე (87), გიორგი მელია (97), იაკობ ქაჯაია (130).

## დეტრექ ბრაუნინგი: კოტე ტულუშთან მუშაობა სასიამოვნოა



საკალათბურთო გუნდი ქუთაისი ახალი სეზონისთვის მზადებას იწყებს. იმერლებს ამ ეტაპზე ორი ლეგიონერი ჰყავთ. ერთ-ერთი უკანახაზელი დეტრეკ ბრაუნინგია, რომელიც ჩრდილოეთ კაროლინაში დაიბადა.

კალათბურთის თამაში 12 წლიდან დაიწყო. მანამდე სურვილი ჰქონდა, ბედი ამერიკულ ფეხბურთში ეცადა, მაგრამ ბოლოს მაინც კალათბურთი არჩია.

დეტრეკ ბრაუნინგი:

– საქართველოში თამაში ჩემთვის მნიშვნელოვანი ეტაპია. რამდენიმე მეგობარმა მიიღო სუპერლიგაში გამოსვლის გამოცდილება. მათგან მხოლოდ კარგი მსმენია და მეც აქ ვარ...

გამიმართლა, რომ კოტე ტულუშის გუნდში მოვხვდი. მის შესახებ მანამდეც მხოლოდ საუკეთესო მსმენია, მთლიანად, კოტეს სამწვრთნელო შტაბზეც... კოტე ძალიან კარგი მწვრთნელი და კიდევ უფრო უკეთესი პიროვნებაა... რაც ამ გუნდში ვარ, ძალიან სამართლიანი და სანდოა. კოტე მოთამაშეების მწვრთნელია, ანუ, ის გრძნობს პროცესს. ძალიან მარტივია მასთან კომუნიკაცია. მსიამოვნებს მასთან მუშაობა...

გუნდში სოლიდური კალათბურთელები გვყავს. რამდენიმეს სანაკრებო დონეზე თამაშის გამოცდილება აქვს და ეს ძალიან დაგვეხმარება. ბიჭები ყოველდღე მაქსიმუმს აკეთებენ, ყველას პროგრესირება სურს და ყველა ცდილობს, გახდეს უკეთესი როგორც შეტევაში, ასევე – დაცვაში. მოუთმენლად ველოდები სეზონის დაწყებას და მჯერა, რომ ბევრს მივაღწევთ.

საყვარელი მოთამაშეები? გილბერტ არენასი, დერიკ როუზი, დუეინ უეიდი, კაირი ირვინგი, ლებრონ ჯეიმსი...

საკალათბურთო სეზონი დუდუ დადიანის მემორიალით 1 ოქტომბერს დაიწყება, ხოლო 2023-24 წლების ეროვნული ჩემპიონატი სტარტს 14 ოქტომბერს აიღებს.

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**

კალეიდოსკოპი

## მოდის სახლი მოდის კვირეულის წინ გაძარცვეს



მოდის სახლი Balmain-ი მოდის კვირეულის ფარგლებში გასამართი კულტურული ჩვენების წინ გაძარცვეს. აღნიშნული მოდის კვირეული პარიზში 25 სექტემბრიდან 3 ოქტომბრის ჩათვლით გაიმართება. ამ ინფორმაციას მოდის სახლის კრეატიული დირექტორი ოლივიე რუსტენი ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე ავრცელებს. რუსტენის განმარტებით, ბოროტმოქმედებმა გაიტაცეს მანქანა, რომელიც ბრენდის ახალი კოლექციით იყო დატვირთული და რომლის ტრანსპორტირება აეროპორტიდან მარკის შტაბ-ბინაში უნდა განხორციელებულიყო. მოდელიერის თქმით, მძარცველებმა ავტომობილის მძღოლი თავიდან მოიშორეს და მანქანა უცნობი მიმართულებით წაიყვანეს. ამ ინციდენტის დროს თავად მძღოლი არ დაშავებულა.

– ეს ისეთი უსამართლობაა. ჩვენ, მთელი გუნდი ისე გულმოდგინედ ვმუშაობდით და შევეცდებით, ისევე გავაგრძელოთ დღისით თუ ღამით. ეს ყოველივე კი სრული უპატივცემლობაა. მინდა მომხდარის შესახებ გაცნობოთ იმისთვის, რომ იყავით ფრთხილად. ეს არის ის სამყარო, რომელშიც გვიწევს ცხოვრება, – დაწერა რუსტენმა სოციალურ ქსელში.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## განცხადებები

● ოპერაციის გარეშე!!! საგვარეულო მცენარეული ნაკრების სიროფი: 1. „პლანტა“ – ჩიყვი (კვანძოვან-კისტოზური, აუტოიმუნურიც); 2. „პლანტა-გლანდა“ – ჩირქოვანი გლანდები, ადენოიდები, ხვრინვა; 3. „პლანტა+“ – მასტოპათია (კვანძები), ფიბროადენომატოზული საშვილოსნო, მომატებული პროლაქტინი, უნაყოფობა. მისამართი: თამარ მეფის 25. მწვანე აფთიაქი, ტელ: 577-52-88-41.

● ფიტნეს ყავა!!! გასახდომი ყავა სამმაგი ეფექტით!!! აჩქარებს დაქვეითებულ მეტაბოლიზმს, აწესრიგებს პროლაქტინს! 1 ქილა – 1 თვის სამყოფი, გამდიდრებული ნალექიანი ყავა – 30 ლარი. მისამართი: თამარ მეფის 25. მწვანე აფთიაქი, ტელ: 577-52-88-41.

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორ მალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების“, ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

# ლაციომ მეკარის გოლით ქულა აიღო, მილანმა უპირატესობა ვერ გარდასახა



**ე ჯგუფი**

**ლაციო-ატლეტიკო 1:1**

0:1 ბარიოსი (29), 1:1 პროვედელი (90)

რომის ლაციომ ქულა მსაჯის მიერ კონპენსირებული დროის მე-5 წუთზე მოიპვა და ეს ქულა მეკარემ მოუტანა.

არადა, მადრიდის ატლეტიკო ბარიოსის მიერ პირველ ტაიმში გატანილი გოლით 1:0-ს იგებდა, მაგრამ ივან პროვედელიმ ფორვარდის სტილში ითამაშა შესანიშნავი თავური დარტყმით ანგარიში გაათანაბრა.

ეს მის პროფესიონალურ კარიერაში პირველი გოლი სულაც არ იყო – პროვედელიმ სერია ბ-ს 2019-20 წლების სეზონში, როდესაც იუვე სტაბიას კარს იცავდა, ასკოლის გაუტანა, მაშინაც თავით და მაშინაც 95-ე წუთზე.

პროვედელი ჩემპიონთა ლიგის ისტორიაში მე-4 მეკარეა ჰანს-იორგ ბუტის, სინან ბოლატისა და ვენსან ენიამას შემდეგ, რომელმაც გოლი გაიტანა.

**ფეიენოორდი-სელტიკი 2:0**

1:0 სტენგსი (45), 2:0 ჯახანბახში (76)

ნიდერლანდურმა გუნდმა მარტივად მოიგო. ორი გოლი გაიტანა, ორიც არ ჩაუთვალეს, პენალტიც გააცუდა. ამასთან, სელტიკმა თამაში 9 კაცით დაამთავრა, რომელსაც ორი ფეხბურთელი გაუძევეს.

ფეინოორდმა თითო ტაიმში თითო გოლი იკმარა: პირველში სტენგსმა გაიტანა, მეორეში ჯახანბახშმა იხეირა და ამ ეტაპზე ჯგუფს ნიდერლანდური გუნდი ლიდერობს.

**ფ ჯგუფი**

**მილანი-ნიუკასლი 0:0**

მილანი მეტოქეზე ბევრად უკეთესი იყო. საგოლე მომენტებიც შექმნა, განსაკუთრებით მატჩის დასაწყისში, მაგრამ ინგლისელთა მეკარე შესანიშნავად ირჯებოდა. ხშირად თავად მასპინძლები მოქმედებდნენ ცუდად.

ნიუკასლი შეტევაში ვერაფერს აკეთებდა, ერთადერთხელ დაარტყეს კარში, ისიც 94-ე წუთზე, როდესაც მარკო სპორტიელომ მილანი დაუმსახურებელი მარცხისგან იხსნა. არადა, „ჯორდებს" მოგება არ ეკუთვნოდათ. ვერც იმას ვიტყვით, რომ ეს ქულაც დაიმსახურეს, მაგრამ ედი ჰაუს გუნდმა მოიპოვა და ახლა ეს არ ადარდებთ.

მილანმა კი, საგოლე მომენტების გამოუყენებლობის გამო მნიშვნელოვანი ქულები სტარტზევე დაკარგა.

**პსჟ-დორტმუნდი 2:0**

1:0 მბაპე (49პ), 2:0 ჰაკიმი (58)

ტურის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო მატჩი პარიზში გაიმართა, სადაც დორტმუნდი სტუმრობდა.

როგორც მოსალოდნელი იყო, მატჩი დაძაბულად წარიმართა, მაგრამ ეს უფრო პირველ ტაიმზე ითქმის. უგოლო ფრის შემდეგ ფრანგებმა მარტივი გამარჯვების მოპოვება მოახერხეს – მბაპემ პენალტი გამოიყენა, რასაც ჰაკიმის გოლი მოჰყვა – 2:0.

მეორე ტურში მილანი დორტმუნდს ესტუმრება, ხოლო ნიუკასლი პსჟ-ს უმასპინძლებს.

**ჯ ჯგუფი**

**სიტი-ცრვენა ზვეზდა 3:1**

0:1 ბუკარი (45), 1:1 ალვარესი (47), 2:1 ალვარესი (60), 3:1 როდრი (73)

პეპ გვარდიოლას გუნდი პირველ ტაიმში უდიდეს უპირატესობას ფლობდა, მაგრამ შესვენებაზე ჩამორჩენით გავიდა. სიტიმ კარისკენ 22-ჯერ დაარტყა, აქედან ჩარჩოში შვიდჯერ მოახვედრა. სერბებმა კი ერთხელ დაარტყეს – ტაიმის მიწურულს ბუკარიმ ანგარიში გახსნა.

აი, მეორე ტაიმში ინგლისელებმა გაილალეს და მომენტები გამოიყენეს: ალვარესმა დუბლის შესრულება მოახერხა, მესამე გოლი კი, სერბებს როდრიმ გაუტანა და საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

**იანგ ბოისი-ლაიფციგი 1:3**

0:1 სიმაკანი (3), 1:1 ელია (33), 1:2 შლაგერი (74), 1:3 შეშკო (90)

ლაიფციგმა იანგ ბოისი ბერნში 3:1 დაამარცხა. შვეიცარიის ჩემპიონმა გაცილებით ძლიერ მეტოქეს დიდი წინააღმდეგიბა გაუწია, მაგრამ ბოლო 15 წუთში 2 გოლი გაუშვა და უქულოდ დარჩა.

**ჰ ჯგუფი**

**ბარსელონა-ანტვერპენი 5:0**

1:0 ჟოაო ფელიქსი (11), 2:0 ლევანდოვსკი (19), 3:0 ბატალიე (22სკ), 4:0 გავი (54), 5:0 ჟოაო ფელიქსი (66)

ბარსელონამ იოლად იმარჯვა. კატალონიელებმა ბელგიურ გუნდს 5 უპასუხო ბურთი გაუტანეს და ჯგუფში ყველა მიახვედრეს, ვინაა ფავორიტი.

ჟოაო ფელიქსი კარგად მოერგო ბარსელონას და აგერ უკვე დუბლიც შეასრულა. კიდევ თითო გოლი რობერტ ლევანდოვკიმ და გავიმ გაიტანეს, ერთიც ბატალიემ საკუთარ კარში შეაგდო.

**შახტარი-პორტუ 1:3**

0:1 გალენო (8), 1:1 კელსი (13), 1:2 გალენო (15), 1:3 ტარემი (29)

ჩემპიონთა ლიგაში ქართველი ფეხბურთელების დებიუტიც შედგა – შახტარის შემადგენლობაში ირაკლი აზაროვმა და გიორგი გოჩოლეიშვილმა ითამაშეს.

ჩვენებურები პორტუს წინააღმდეგ სასტარტო შემადგენლობაში არ იყვნენ, მაგრამ, შესაბამისად, 65-ე და 75-ე წუთზე შევიდნენ.

უკრაინელები პირველ მატჩში 1:3 დამარცხდნენ. თამაშის შემობრუნება კი, ვერც ქართველი ფეხბურთელების დახმარებით მოახერხეს.

# ბუდუ ზივზივაძე: არც ნაკრებში და არც გუნდში დამხმარის როლი არ მინდა



საქართველოს ეროვნული გუნდის ფეხბურთელი ბუდუ ზივზივაძე, სანაკრებო პაუზის შემდეგ, გერმანიაში დაბრუნდა და კარლსრუესთან ერთად მორიგ მატჩში ითამაშა. ნორვეგიის ნაკრებთან სტუმრად გატანილი ლამაზი გოლის შემდეგ საქართველოს ნაკრების ფორვარდი კაიზერსლაუტერნთან ფრედ 1:1 ნათამაშებ შეხვედრაში 68-ე წუთზე ჩაერთო.

თუმცა, გერმანული მედია წერს, რომ ზივზივაძე მეტ სათამაშო დროსა და სასტარტო შემადგენლობაში ყოფნას იმსახურებს.

**აი, რას წერს გერმანული მედია:**

– ლარს შტინდლმა შემადგენლობაში დასაბრუნებლად სამშაბათს წინ ერთი ნაბიჯი გადადგა. კარლსრუეს ფეხბურთელი ვარჯიშის დილის სესიაზე თანაგუნდელებთან ერთად იმყოფებოდა, მაგრამ ორმხრივი თამაშის დროს ინერტულად მოძრაობდა, ყოველგვარი ფიზიკური კონტაქტის გარეშე.

შუადღისას 35 წლის ფეხბურთელი, რომელმაც ოპერაცია გადაიტანა, დაასვენეს. მომდევნო დღეებში გაირკვევა, შეძლებს თუ არა შტინდლი შაბათს ფიურტთან თამაშს. თუ ითამაშებს, საკითხავია, რამდენი ხანი. ეს საკითხი ზივზივაძეზე ასევე იმოქმედებს. თუ შტინდლი კვლავ არ იქნება, ქართველი ფეხბურთელის სასტარტო შემადგენლობაში ყოფნის შანსი გაიზრდება.

კაიზერსლაუტერნთან (იგორ მატანოვიჩის დაყენება ამჯობინეს, ზივზივაძეს კი, კვლავ ჯოკერის როლი ჰქონდა. ეს მიმდინარე სეზონში მეოთხედ. ბუდუმ სასტარტო შემადგენლობაში მხოლოდ ორჯერ დაიწყო – ოსნაბრიუკთან (3:2) და თასის თამაშზე ზაარბრიუკენთან (1:2).

**ბუდუ ზივზივაძე:**

– ეს მწვრთნელის გადაწყვეტილებაა, რომელსაც პატივს ვცემ. ის უფროსია. არ აქვს მნიშვნელობა, რამდენ წუთს მომცემს, ვეცდები, რომ გამოვიყენო.

ზივზივაძემ ასევე აღნიშნა, რომ სანაკრებო პაუზიდან გვიან დაბრუნდა და გუნდთან ერთად მომზადებისთვის მხოლოდ 2 დღე ჰქონდა. 29 წლის ფეხბურთელი ეროვნულ გუნდშიც იგივე სიტუაციაშია – ვილი სანიოლი, რომელიც ბუნდესლიგაში, მიუნხენის ბაიერნში მუშაობდა, შეტევაში ნაპოლის ხვიჩა კვარაცხელიასა და აიაქსის გიორგი მიქაუტაძეს ეყრდნობა.

ზივზივაძეს ნორვეგიასთან მცირე სათამაშო დრო მისცეს, მაგრამ ყურადღების მიქცევა მაინც შეძლო და წაგებულ მატჩში გოლის გატანა მოახერხა. კარლსრუეს მაისურით კი, გადამწყვეტი გოლი ჰამბურგის (2:2) წინააღმდეგაც გაიტანა. ასევე გავლენა იქონია კაიზერსლაუტერნთან შეხვედრაშიც.

კარლსრუეს მწვრთნელი კრისტიან აიხნერი აღნიშნავს, რომ ბუდუს შეყვანა წარმატებული ცვლილება იყო.

თავად ზივზივაძე ამბობს, რომ მატჩში კარგად ჩაერთო და რამდენიმე კარგი მომენტი ჰქონდა. დიდხნიანი შეჩვევის პერიოდის დროს ის სეზონის მეორე ნახევარში ფაბიან შლოისნერისა და მიკელ კაუფმანის შემცვლელი იყო. მას ერთ გოლზე მეტი არ გაუტანია, მაგრამ კაიზერსლაუტერნის წინააღმდეგ სახლში მოგებულ შეხვედრაში გაიტანა.

**ზივზივაძე არ მალავს, რომ მას უფრო მეტი სურს:**

– მინდა, ყველა მატჩი სასტარტოდან დავიწყო და იმედია, მომავალში ვითამაშებ. ვფიქრობ, რომ 90 წუთის სათამაშოდ მზად ვარ.

**საპირისპიროდ, თავდამსხმელისგან სტაბილურობას ითხოვს აიხნერი:**

– ყოველთვისაა ისეთი მომენტები, როგორიც შაბათს იყო, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ ვარჯიშების დროს სტაბილურობა გამოაჩინოს. ამის შემდეგ ის გახდება მოთამაშე, რომელიც გვჭირდება.

ზივზივაძეს, რომელსაც კარლსრუესთან კონტრაქტი 2025 წლის ზაფხულში ეწურება, წინ გადამწყვეტი კვირები და თვეები ელის. ეს ეხება ეროვნულ გუნდსაც. ქართველებს კვლავ აქვთ შესაძლებლობა, რომ ერთა ლიგიდან ევროპის ჩემპიონატზე პირველად გავიდნენ. ც ლიგის ფლეი ოფი 2024 წლის გაზაფხულზე გაიმართება:

– ჩვენი ქვეყნისთვის ისტორიული მატჩები იქნება. მანამდე მზად ვარ, როგორც კარლსრუეში, ისე საქართველოს ნაკრებში მხოლოდ დამხმარე როლი არ ვითამაშო. შემდეგ მატჩს ზივზივაძის კარლსრუე 23 სექტემბერს ფიურტის წინააღმდეგ გამართავს. შესაძლოა, ბუდუც სასტარტო შემადგენლობაში ვიხილოთ.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# ჩელსი მამარდაშვილს მიუბრუნდება



ინგლისური მედიის ცნობით, ლონდონის ჩელსი მეკარის დამატებას აპირებს, სიაში კი, პირველი გიორგი მამარდაშვილია.

– ჩელსის ხელმძღვანელობა იმედოვნებს, რომ მომავალ თვეებში მაღალი კლასის მეკარეს დაიმატებს. ვალენსიას ვარსკვლავი გიორგი მამარდაშვილი მათ სიაში პირველ ადგილზეა. ზაფხულში გუნდიდან ედუარდ მენდისა და კეპა არისაბალაგას წასვლის შემდეგ ლონდონელებმა ბრაიტონიდან რობერტ სანჩესი დაიმატეს, მაგრამ კიდევ ერთი საიმედო მეკარის მიყვანას კვლავაც ცდილობენ.

მიუხედავად იმისა, რომ კეპა მადრიდის რეალში იჯარით გადავიდა, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სტემფორდ ბრიჯზე დიდი მომავალი აღარ აქვს და მადრიდში მუდმივი კონტრაქტის საფუძველზე გადავა. ამჟამად ლონდონურ კლუბში ერთადერთი საიმედო მეკარე სანჩესია და გასაკვირი არ არის, რომ მაურისიო პოჩეტინო კიდევ ერთი მეკარის დამატებას ცდილობს.

ვალენსიას 22 წლის მეკარემ კი, ესპანეთის ლიგაში კლასი დაამტკიცა და, შესაძლოა, ჩელსის ღირებული შენაძენი გახდეს. საინტერესოა, შეძლებენ თუ არა ინგლისელები უახლოეს თვეებში ესპანურ კლუბთან შეთანხმებას. იანვარში ეს ტრანსფერი ნაკლებად სავარაუდოა, რადგან ვალენსიას არ სურს, ძირითადი შემადგენლობის მოთამაშე შუა სეზონში გაუშვას. ასე რომ, დიდი ალბათობით, ჩელსის მეკარის შესაძენად ზაფხულამდე მოუწევს ლოდინი.

მამარდაშვილს პრემიერლიგაში გადასვლის შანსი აქვს და ძნელია, უარი თქვას ისეთ დიდ კლუბში თამაშზე, როგორიც „ჩელსია". ის შეეცდება კარიერულ წინსვლაში შემდეგი ნაბიჯი გადადგას – ინგლისში გადასვლა მისი, როგორც მეკარის ზრდას დააჩქარებს", – ამტკიცებს გამოცემა 90min.com-ი.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება

ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

## კალეიდოსკოპი

### გოგონა წყურვილის მოკვლის სურვილმა გაამდიდრა



ამერიკის კოლუმბიის ოლქის ქალაქ ვაშინგტონის მკვიდრი გოგონა იმის წყალობით გამდიდრდა, რომ წყურვილის მოკვლა გადაწყვიტა.

29 წლის გოგონა პროდუქტების მაღაზიაში გაზიანი სასმელის საყიდლად შევიდა. ამ დროს მან გადაწყვიტა, რომ გაზიან სასმელთან ერთად ორი ცალი ლატარიის ბილეთიც შეეძინა, მათში კი თავისი ნათესავების დაბადების დღეების შესაბამისი რიცხვები ჩაწერა.

მალე გოგონამ შეიტყო, რომ მის მიერ შერჩეული რიცხვები გათამაშებაში ამოსულს დაემთხვა და ამის შედეგად მისმა მოგებამ 100 ათასი დოლარი შეადგინა.

### ქალი პლაჟზე გადაშენებულად მიჩნეულ თევზს გადააწყდა



ავსტრალიის მკვიდრი ქალი პლაჟზე უიშვიათესი სახეობის თევზს გადააწყდა, რომელიც გადაშენებულად ითვლებოდა.

არსება, რომელსაც ფარფლების ნაცვლად ხელების მსგავსი კიდურები აქვს, ტასმანიის შტატის ქალაქ პრიმროუზ-სენდსის პლაჟზე ვარჯიშის დროს შემთხვევით კერი იარმა შეამჩნია.

– მე ყოველთვის ვინტერესდები იმ არსებებით, რომელთაც სირბილის დროს ვაწყდები. ის კი ძალიან ჰგავდა პატარა ნემსმუცელას ან თევზგომბეშოს, რომლებიც ბევრი მინახავს, – იხსენებს ქალი, – მაგრამ, როდესაც დავაკვირდი, შევნიშნე, რომ ის ქვიშაში ხელების მსგავს ფარფლებს მალავდა.

ქალმა თევზს ფოტოსურათი გადაუღო, რომელშიც მოგვიანებით ხხივთევზა ამოიცნეს. ისინი მხოლოდ ტასმანიის სანაპიროსთან ბინადრობენ და იმით გამოირჩევიან, რომ ფარფლები წინ აქვთ გამოწეული და ცხოველის თათებს წააგავს. ეს არსება მათ ზღვის ფსკერზე გადასაადგილებლად იყენებს.

აღსანიშნავია, რომ ამ სახეობის თევზი ბოლოს პრიმროუზ-სენდსის სანაპიროსთან დაახლოებით 20 წლის წინ შენიშნეს და მეცნიერები ფიქრობდნენ, რომ ისინი ჯერ კიდევ 2005 წლამდე გადაშენდნენ. ბიოლოგ კარლი დივაინის თქმით, ის და მისი კოლეგები რამდენიმე წლის წინ გულმოდგინედ ცდილობდნენ ამ სახეობის თევზების პოვნას, მაგრამ მათი მცდელობა უშედეგოდ დასრულდა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ინფორმაციის საზომი ერთეული გამოთვლით ტექნიკაში; 2. ქვის ბოძებზე მდგარი ხის სახლი დასავლეთ საქართველოში; 3. ქართული წარმოშობის რუსი კომპოზიტორი, ქიმიკოსი; 4. კრემისგულიანი ნამცხვარი; 5., მრავალსართულიანი კარსტული მღვიმე იმერეთში; 6. პოპულარული ბრაზილიური ყავა; 7. თავხედური გულახდილობა; 10. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი მამაკაცი; 11. უბანი ქუთაისში; 12. ოფიცრის ჩინი; 13. მუსიკის ერთ-ერთი ჟანრი; 16. ბელგიის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის" ფეხბურთელთა გუნდების მეკარე; 18. გიორგი კობახიძის მოკლემეტრაჟიანი კინოკომედია; 19. ძალოსნობის იარაღი; 21. სპორტის სათამაშო სახეობა; 24. ბოსტნეულის მავნებელი მწერი.



**თარაზულად:** 1. წმინდა ოქრო; 2. მამაკაცის ძველებური უნგრული პალტო; 8. მხარე საქართველოში; 9. განწყალებული ღვინო; 14. ოსური ცეკვა; 15. ქართველი მეან-გინეკოლოგი, აკადემიკოსი; 17. რბილსაჯდომიანი ტაბურეტი; 20. საქონლის ჯოგი; 22. წვრილი წვიმა; 23. ძიუდოს საჭიდაო ხალიჩა; 25. ბილიარდის სათამაშო ჯოხი; 26. ძველ რომაელთა ტანსაცმელი; 27. ღვინის ჩამომსხმელის, მერიქიფეს ძველებური სახელწოდება; 28. ისტორიული ციხექალაქი ჰერეთში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. პალანგა; 2. კომუნა; 3. ნოლბელიუმი; 4. ცერული; 5. ფოლიანტი; 7. ქოსა; 11. სოპრანო; 13. კაჭკაჭი; 15. განდი; 16. მოძმე; 18. ნივეა; 19. ლარნი.

**თარაზულად:** 6. აფექტი; 8. ლონდონი; 9. გურიელი; 10. ნიუანსი; 12. გაუდი; 14. მიზანი; 17. მაჭანკალი; 20. ურანოსი; 21. ადაჟიო; 22. ელინგი; 23. ხელბურთი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. შუკა; 2. ემუ; 3. კაპიტალი; 4. ცა; 5. მოტოროლა; 6. მესი; 7. ლაქტოზა; 10. ხალი; 11. ალპინიადა; 12. ბიჭვინთა; 13. ბობი; 16. ჰუმუსი; 18. ენოლოგი; 19. ელარჯი; 21. ნესვი; 24. ტემზა.

**თარაზულად:** 1. შარდონე; 3. კვარცი; 8. ბოჰემა; 9. კოხი; 14. ელოპი; 15. დოკერი; 17. ჭონა; 20. ლენონი; 22. ლონჟა; 23. ლაისტი; 25. ფხა; 26. უშბა; 27. ალია; 28. მოლდავეთი.

ახალი თაობა
Akhali Taoba
akhalitaoba.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

21 სექტემბერი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 2.6750 | ევრო — 2.8631 |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.3071 | 100 რუსული რუბლი — 2.7655 |

**ამინდის პროგნოზი 21 სექტემბრისთვის**




# ნინო ხარატიშვილი გერმანიაში დააჯილდოვეს

ქართველი მწერალი ნინო ხარატიშვილი გერმანიის ქალაქ ფრანკფურტში დააჯილდოვეს. მას დაჯილდოების რიგით 50-ე საიუბილეო ცერემონიაზე პრიზი „ქალაქის მწერალი" გადაეცა, რომლის ფარგლებშიც ის ფრანკფურტში იცხოვრებს და ახალ წიგნზე იმუშავებს.

ნინო ხარატიშვილმა დაჯილდოებაზე წარმოთქვა სიტყვა „ემპათიის მეცნიერება":

– ამასწინათ ჩემმა უკრაინელმა კოლეგამ ტანია მალიარჩუკმა ინგებორგ ბახმანის სახელობის კონკურსის გახსნაზე მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა. მან თავის თავს „გატეხილი ავტორი, ყოფილი ავტორი" უწოდა, „ავტორი, რომელმაც ენა დაკარგა". შემდეგ კი დაამატა: „მე შიში გამიჩნდა ენის მიმართ, რომელსაც შეუძლია მილიონობით ადამიანი, მეტწილად მშვიდობიანი მოქალაქე, დაარწმუნოს, რომ ადამიანების ხოცვა სამართლიანი საქმეა".

მის სიტყვებზე დიდხანს ვიფიქრე, თავიდან ვერ ამოვიგდე, რადგან, მართალია, უკრაინიდან არ ვარ და ამ წუთას მაქვს პრივილეგია, უსაფრთხო გარემოში ვცხოვრობდე, ჩემთვის ძალიან ნაცნობია სისასტიკის, დაუსრულებელი, უაზრო ძალადობის, ნიჰილიზმის გარემო, რომელშიც თავს ამოგვაყოფინებს ხოლმე ომი. მე ვარ ქვეყნიდან, რომელიც 70 წლის განმავლობაში იყო საბჭოთა კავშირის ნაწილი და რომელმაც დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად ბრძოლაში გაუგონარი, სისხლის ფასი გადაიხადა და დღესაც იხდის. ჩემს ბავშვობასა და სიყმაწვილეს თან სდევდა რუსული ტანკები და ჯარისკაცები, გაჭირვება, კრიზისები, ძალადობა, სამოქალაქო ომები. გერმანიაში რომ გადმოვედი საცხოვრებლად, თითქმის არაფერს ვყვებოდი საკუთარ ახალგაზრდობაზე. არ მეგონა, რომ ჩემი გამოცდილების გაზიარება აქ შესაძლებელი იყო, არც ვინმეს შეწუხება მინდოდა და, მით უმეტეს, არაფრის დიდებით არ მინდოდა თანაგრძნობისა და შეცოდების გამოწვევა. ამგვარი გამოცდილების გაზიარება არაფრის მთქმელია. კრიზისებისა და უბედურების დაძლევა ისევე ინდივიდუალურია, როგორც საბოლოოდ, თითოეული ადამიანის ბიოგრაფია. ზოგი გაძლიერებული გამოდის მსგავსი მდგომარეობიდან, ზოგი კი – პირიქით და ვერასდროს გავიგებთ, რა დაგვემართება, სანამ თავად არ აღმოვჩნდებით მსგავს სიტუაციაში. მეც შეიძლებოდა მათ შორის აღმოვჩენილიყავი, ვინც ვერ შეძლო რთულ დროს გამკლავებოდა, რომ არა ორი გადამწყვეტი ფაქტორი, რომელთაც იმ პერიოდს გადამარჩინეს: ჩემი ახალგაზრდა ასაკი და ამდენად, ნაკლებად გააზრება იმისა, რა ხდებოდა ირგვლივ და – წერა.



არ მახსოვს, წერა როდის დავიწყე, მგონია, რომ სულ ვწერდი, თითქოს სულ თან მახლდა წიგნები და რვეულები, რომელთაც შეპყრობილივით ვავსებდი ნაწერით. თბილისში, ჩემს ბინაში, უთვალავი რვეული მაქვს, შიგ ჩახედვას ველარ ვბედავ, მხოლოდ ის ვიცი, რომ იქ სულ გამოგონილი ამბები წერია, ჩემი ნაწერი ყოველთვის ფიქცია იყო, არასდროს ყოფილა ავტოფიქცია, რადგან მგონია, რომ მაშინ ქვეცნობიერად მამოძრავებდა სურვილი, სხვა ფერებში ჩამეძირა უსახური რეალობა, სხვა პიროვნება გავმხდარიყავი.

თუმცა, მაშინ, 12-13 წლის რომ ვიყავი, ეს სურვილი უფრო მწველი იყო. უფრო ინტენსიურად ვწერდი, რადგან ომითა და კრიზისებით მოცულ ქართულ რეალობაში, მოზარდებს არც გასაქცევი ადგილი გვქონდა და არც გასართობი. დენის მუდმივი წყვეტის გამო ტელევიზორიც კი იშვიათ ხილს წარმოადგენდა. სხვა რა გზა მქონდა, ვკითხულობდი. ვკითხულობდი, რადგან ბებიაჩემს უამრავი არაჩვეულებრივი წიგნი ჰქონდა სახლში, ლიტერატურას აღმერთებდა, თუმცა, თავად მეცნიერი იყო. გაუთავებლად ვკითხულობდი და შემდეგ გაუთავებლად ვწერდი, არავითარი ამბიცია არ მქონია, არც კი მიოცნებია ავტორობაზე, ვწერდი, რადგან ეს ისეთივე ჩვეულებრივი საქმიანობა გახდა ჩემთვის, როგორც ჭამა ან ძილი. წერა კი იმიტომ დავიწყე, რომ ერთ დიდ საიდუმლოს მივაგენი:

მახსოვს, ერთ მშვენიერ დღეს პურის გაყიდვაზე შეზღუდვა დაწესდა, ტალონები შემოიღეს და სურსათის მაღაზიებთან უსასრულო რიგები გაიჭიმა. ჩვენ, ბავშვებს, ეს ამბავი, საზრუნავისა და პრობლემებისგან დაღლილი უფროსებისგან განსხვავებით, მოგვწონდა კიდეც. ამიტომ, ხშირად ვდგებოდით რიგში – პურის რიგი გახდა ადგილი, სადაც ათას ჭორმართალს გაიგებდი, სადაც ხალხი პოლიტიკაზე დაობდა – ჩვენ კი ვერთობოდით, ვიცინოდით და ვმხიარულობდით, სანამ უსასრულოდ ვიდექით უაზრო რიგში. ერთ დღესაც ერთმა ჩემმა მეგობარმა ნამდვილი ჩვილისხელა თოჯინა მოიტანა და რადგან ორსულებსა და ბავშვიან ქალებს რიგს უთმობდნენ, გადავწყვიტე, თოჯინასთვის ჟაკეტი ჩამეცმია და გამოგონილი ჩვილის უფროსი დის როლი შემესრულებინა. მეგობარიც მაშინვე ამყვა და რეალობა უცებ გადაიქცა საინტერესოდ, ამაღელვებლად, რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რომ რიგმაც ბევრად უფრო მალე მოგვიწია. იმდენად გავთავხედდით, რომ დაწვრილებით განვიხილავდით ჩვილის პრობლემებს – გაზები აწუხებს და ღამე არ სძინავსო. მარტო ჩვენ კი არ ჩავებით ამ თამაშში, ირგვლივ მყოფებიც ვაიძულეთ, მხარი აებათ და ამგვარად, მართალია, ტყუილით, მაგრამ რეალობა შევცვალეთ (მესამე მცდელობაზე გამოგვიჭირეს და კარგადაც მოგვხვდა, მაგრამ ახლა ეს არ არის მთავარი).

ამ თამაშმა ერთ ისეთ რამეს მიმახვედრა, რამაც შემდეგ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ჩემს ცხოვრებაში: აღმოვაჩინე, რომ გამოგონებით რაღაცის შეცვლა შეიძლება – უფრო საინტერესო, ამაღელვებელი, მრავალფეროვანი შეგიძლია გახადო ცხოვრება – ამის მიხვედრამ წარმოუდგენელი სიხარული მომიტანა და ეს სიხარული დღემდე მომყვება. ეს არის, რისი თქმაც მინდა: წარმოსახვა ხანდახან ერთადერთი გზაა რეალობის ასატანად. წარმოსახვა შეიძლება აღმოჩნდეს ერთადერთი გზა, აბსოლუტური უაზრობისთვის აზრის მისანიჭებლად.

ლიტერატურა არასდროს მიმიჩნევია თერაპიად. ლიტერატურა ვერაფერს კურნავს და უმეტესად, ვერც კითხვებს სცემს პასუხს. ლიტერატურა ასახავს, იყვება, აღწერს, გვიტაცებს, გვაღელვებს, ჭრილობაში ხელს გვიფათურებს, გვიკირკიტებს, გვაფორიაქებს, გვაბრაზებს, გვეხება, მაგრამ უებარი წამალი ნამდვილად არ არის.

მაშ, რა არის წერა, საკუთარი სინამდვილიდან გაქცევა? ალბათ, არა. მე არასდროს მნდომებია ზღაპრების მოყოლა ან მანუგეშებელი რჩევების კრებულების წერა, მარადიულ ბედნიერებასა და იდეალურ პარტნიორს რომ გვპირდებიან, ამ რჩევების მიხედვით თუ ვიცხოვრებთ. როგორც უნდა იყოს აგებული რეალობა, რაც უნდა გამოგონილი იყოს ამბავი, რომელსაც ვყვებით, მაინც საკუთარ რეალობაში მოვადენთ ზღართანს, ფიქციაში მის ექოს გავიგონებთ. თან, არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, 1900 წლის საქართველოზე ვწერთ თუ ტროას ომზე, რასაც ვწერთ, ყოველთვის ჩვენ გვეხება, დღევანდელ დღეს, რაც ჩვენ გარშემოა და რაც გვამოძრავებს. წერას ყოველთვის ისე ვუყურებდი, როგორც ლაბორატორიას, სადაც შემეძლო შევსულიყავი და იმ ამბებში ჩავფლულიყავი, რომლებიც მაწუხებს, მტკივა, მაღელვებს, რომელთაც ვერ ვიგებ, სადაც შემიძლია მიკროსკოპში ჩავიხედო, ყოველი მხრიდან, ყოველი კუთხიდან შევისწავლო საგნები და მოვლენები და უმცირესი დეტალებიც არ გამომეპაროს. სხვათა შორის, ეს პროცესი, რაც უნდა საინტერესო, ინტენსიური და ამაღელვებელი იყოს, შეიძლება სულაც არ აღმოჩნდეს სასიამოვნო. არიან ავტორები, რომლებიც მთელ თავიანთ ცხოვრებას გამოშიგნავენ, გამოამზეურებენ და საოცარ ლიტერატურას ქმნიან. მაგრამ მე ამის ნიჭი არ მაქვს. მე მხოლოდ დისტანციისა და ტრანსფორმაციის გზით შემიძლია წერა. შესაბამისად, ჩემი მიდგომა არასოდესაა ავტობიოგრაფიული. სხვად გადაქცევა არის ჩემი წერის იმპულსის ერთ-ერთი მამოძრავებელი. გარკვეულწილად, ეს თამაშია, თუ გნებავთ, სასცენო თამაში, ოღონდ ფიგურას ჩემს სხეულსა და ხმას კი არ ვაძლევ,

გაგრძელება მე-6 გვერდზე

## ხავი: „მსიამოვნებს ასეთი ბარსელონას ყურება"



ბარსელონამ ჩემპიონთა ლიგა ძალიან კარგად დაიწყო და კატალონიელებმა პირველ შეხვედრაში საკუთარ მოედანზე ბელგიური ანტვერპენი დაამარცხეს 5:0. ბარსელონა მთელი შეხვედრის მანძილზე დომინირებდა და მატჩის შემდეგ გვარდიოლამ თქვა, რომ მას სიამოვნებს ასეთი ბარსელონას ყურება:

– მინდა, რომ მთელი სეზონის მანძილზე ასეთი ფეხბურთი ვაჩვენოთ, თუმცა, კარგად მესმის, რომ ეს ძალიან რთული იქნება. მეტოქეს ყველა ასპექტში ვაჯობეთ და ანგარიში ზუსტად ასახავს მატჩის მიმდინარეობას.

## ხოსეპ გვარდიოლა: „ჩემი გუნდის თამაშით კმაყოფილი ვარ"

მანჩესტერ სიტიმ ჩემპიონთა ლიგა გამარჯვებით დაიწყო და მათ საკუთარ მოედანზე ბელგრადის ცვენა ზვეზდა დაამარცხეს ანგარიშით 3:1. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სიტი პირველი ტაიმის შემდეგ აგებდა 0:1, თუმცა, მეორე ტაიმში სიტიმ 3 უპასუხო გოლის გატანა შეძლო:

– მთელი მატჩის მანძილზე უპირატესობა გვქონდა და სიტიმ ეს გამარჯვება დაიმსახურა. მიხარია, რომ ტურნირი კარგად დავიწყეთ, მაგრამ ჯერ კიდევ ყველაფერი წინ არის.

## კილიან მბაპე: „ბორუსიასთან რთული მატჩი გვქონდა"



პსჟ-მ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის პირველ შეხვედრაში საკუთარ მოედანზე დორტმუნდის ბორუსია დაამარცხა 2:0 და მატჩის შემდეგ კილიან მბაპემ თქვა, რომ ეს შეხვედრა რთული გამოდგა და ბორუსია ძლიერი გუნდია:

– ბორუსიამ პირველ ტაიმში პრობლემები შეგვიქმნა, მაგრამ მეორე ნახევარში ჩვენ გვქონდა უპირატესობა, ამიტომ საბოლოოდ შევძელით გამარჯვება. მომავალი მატჩები მნიშვნელოვანი იქნება და ჩვენი ძალა ყველას უნდა ვაჩვენოთ.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

## კაფეს მფლობელმა ცნობილი მორაგბე გადაარჩინა



ცნობილმა ავსტრალიელმა მორაგბე სტივ მორისმა კაფეში ყოფნის დროს ინსულტი გადაიტანა და დაწესებულების მფლობელის სწრაფი რეაქციის წყალობით გადარჩა.

66 წლის ყოფილი მორაგბე ახალი სამხრეთ უილსის შტატის ქალაქ კიამაში მდებარე კაფე ცენტრალ პარკში იმყოფებოდა, როდესაც მოულოდნელად გონება დაკარგა. ეს დაწესებულების მფლობელმა შენიშნა, მივარდა მასთან და პირველადი დახმარება აღმოუჩინა, რის შემდეგაც სასწრაფო დახმარება გამოიძახა. მორისი სასწრაფოდ საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი. ექიმებმა ყოფილ მორაგბეს გამოკვლევა ჩაუტარეს და მის ტვინში თრომბი აღმოაჩინეს, რომელიც ოპერაციის დროს წარმატებით ამოაცალეს. ავსტრალიელის შვილის თქმით, მამამისი ქირურგიული ოპერაციის შემდეგ სწრაფად მიდის გამოჯანმრთელებისკენ, ხოლო მან დედასთან ერთად დიდი მადლობა გადაუხადა კაფეს მფლობელს მორისის გადარჩენისთვის.

## „მალიბუს მაშველების" 55 წლის ვარსკვლავი უკიდურესად შეიცვალა



პაპარაცის ობიექტივმა ამერიკელი მსახიობი და ფოტომოდელი იასმინ ბლიტი უმაკიაჟოდ დააფიქსირა. ამის ამსახველი კადრები ერთ-ერთმა ამერიკულმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

„მალიბუს მაშველების" 55 წლის ვარსკვლავი ლოს-ანჯელესის ქუჩებში ცისფერ კომბინიზონში გამოწყობილი სეირნობდა, ხოლო მის ქვეშ ვარდისფერი მაისური მოუჩანდა. ის პროდუქტების შესაძენად სუპერმარკეტში ფლოსტებით და დაწნული ჩანთით იმყოფებოდა. ამ დროს მსახიობს სახეზე მაკიაჟი არ ეკეთა.

გამოქვეყნებულ სურათებზე ბევრმა ინტერნეტ-მომხმარებელმა გააკეთა კომენტარი. უმრავლესობის თქმით, ბლიტი ფოტოებზე საკმაოდ ცუდად გამოიყურება და ერთი შეხედვით მისი ცნობა შეუძლებელია.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## ნატო გელაშვილს ვარსკვლავს გაუხსნიან



მომღერალსა და კომპოზიტორს ნატო გელაშვილს 28 ოქტომბერს, ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზის წინ სახელობით ვარსკვლავს გაუხსნიან.

ვარსკვლავის გახსნის ორგანიზატორი კულტურის პალატა და მისი პრეზიდენტი დავით ოქიტაშვილია.

მომღერლის ვარსკვლავის გახსნამდე გაიმართება ნატო გელაშვილის შემოქმედებითი საღამო – „სტუმრად ნატოსთან", რომელიც ხელოვანის 35-წლიან სასცენო მოღვაწეობას შეეხება.

## მატილდა გვარლიანი „გუჩის" სახეა

ქართველი მოდელი **მატილდა გვარლიანი** მსოფლიო ბრენდის „გუჩის" სახე გახდა. მან **მონაწილეობა მიიღო ბრენდის** მიერ წარმოებული სათვალეების **ფოტოსესიაში. მატილდა დიდი** ხანია მსოფლიოს წამყვანი **დიზაინერების ყურადღების ცენტრშია**. იგი არაერთი ცნობილი **ბრენდის სარეკლამო კამპანიაში** მონაწილეობს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

## კროსვორდი ა




**შვეულად:** 1. ჩეჩნეთის ძველი სახელწოდება; 2. პოპულარული ტყე-პარკი პარიზში; 3. ადამიანის გონებრივი განვითარების დონე; 4. ფულის გამოშვება; 5. ბიჭის მაღალი სასიმღერო ხმა; 7. დიპლომატიური წარმომადგენელი; 11. ვირის ნაშიერი, ჩოჩორი; 13. ივნისის თვის ქართული სახელწოდება; 15. ისტორიული ციხე-ქალაქი ბათუმის მახლობლად; 16. წიაღისეულით მდიდარი ზღვის თხელწყლიანი ნაპირი; 18. მანძილი იდაყვიდან შუა თითის წვერამდე; 19. კოვბოების შეჯიბრი.

**თარაზულად:** 6. ქართველი მწერალი, დრამატურგი, სცენარისტი, კინორეჟისორი; 8. ბრიტანული ხილის ნამცხვარი; 9. წვრილად დაჭრილი შემწვარი ხორცისგან მომზადებული ფრანგული კერძი; 10. მოხსენების, სტატიის მოკლე შინაარსი; 12. გერმანელი ფილოსოფოსი; 14. ებრაელთა სასულიერო პირი; 17. ყველაზე წყალუხვი ტბა საქართველოში; 20. სწრაფმავალი, მოტორიანი ნავი; 21. ევროსაბჭოს პრეზიდენტი; 22. კუთხე საქართველოში; 23. ფოთის პირველი მერი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა